წლიწადი მეოთხე
ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.
რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა
გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე შიდებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=10 მანეთი, 20×2=13 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოიტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## დღეს:

### ხმოვნები:

ოსმალეთს თანხმობა გამოუცხადებია საზავო დელეგაციის გამოგზავნაზე.

ხმებია, მარტის პირველ რიცხვებში შვეიცარიაში საბოლოოვო ზავს ჩამოაგდებენო.—სტამბოლში ამიერ კავკასიის კომისარიატის დეპეშა უკვე მიუღიათ.—სახალხო კომისართა საბჭო ამზადებს დეკრეტს წირვა-ლოცვის აკრძალვის შესახებ.—ესტების თეთრმა გვარდიამ გერმანელთა დახმარებით პეტროგრადი და რეველი აიღო.

თელავი ამბოხებულ ჯარისკაცების ხელშია, მილიცია განდევნეს.

### წერილები:

**მეთაური.** საგარეო პოლიტიკა და შინაური მტრები.
**გერონტი ქიქოძე.** ბათუმისთვის.
**ვასილ წერეთელი.** ვიდრემდის?
ქართული პრესა.

**ამიერ კავკასიის სეიმის ანგარიში.**

თავზარდაცემულნი ნადეჟდა მიხეილის ასული დალაქიშვილისა, პატარა ლენა და თებრონია ზაქარიას ასული ქუმსიშვილისა აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლის, მამის და სიძის თბილისის საფუძვრენიო სასურსათო კომიტეტის წევრის

გიორგი ვასილის ძის
დალაქიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას თებერვლის 19-ს ქ. კავკავში, სამსახურის ასრულების დროს. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დაკრძალვა კვირას, თებერვლის 25-ს, ქ. თბილისში. 1—1026—1

ნინო ალექსანდრეს ასული, ფარნა კონსტანტინეს ასული, გრიგოლ და იოსებ ზაქარიას ძენი ქურდიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის სიძის, თბილისის საფუძვრენიო სასურსათო კომიტეტის წევრის

გიორგი ვასილის ძის
დალაქიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას ქ. კავკავში, თებერვლის 19-ს, სამსახურის ასრულების დროს. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კვირას, თებერვლის 25-ს, ქ. თბილისში.
1—1026—1

მწარმოებელთა კოოპერატივი,
„კახელ მევენახეთა კავშირთ-კავშირი"
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან უკვე მოაწყო წვრილად და ერთბაშად (ბითუმად) ბუნებრივი საკუთარი

კახური ღვინით ვაჭრობა

წვრილად ღვინო იყიდება თბილისში გოლოვინის პრ. № 33 სახლი თამამშევისა ყოფილ „კუზნეცოვის" სარდაფში.
ბითუმად ღვინო იყიდება კახეთში კავშირთ-კავშირის განკარგულებაში გადასულ მუკუზნის სახელმწიფო (ყოფილ საუფლისწულო) სარდაფებიდან.
ფოსტით მისამართი: თბილისში. გოლოვინის პრ. № 33 კახელ მევენახეთა კავშირთ-კავშირს.
კახეთში. წინანდლის მუკუზნის სარდაფი კახელ მევენახეთა კავშირთ-კავშირს.
ტელეგრაფით მისამართი: Тифлисъ «Союзъ».
ან Велисцихе «Союзъ».
(3—1025—2)

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამდივნოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

„საქართველოს" კონტორა
აცხადებს, რომ 20 თებერვლიდან გაზეთი ეღირება თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. ხოლო რკინის გზის სადგურებზე 35 კაპ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მთავარი კომიტეტი
იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5, (გაზეთ „საქართველოს" რედაქციის ბინა). ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განცხადებაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულებ. შეტანა.

„ახალი საკრებულოს"
(ყოფილი ხარფუხის კლუბი) მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს წევრთ და კანდიდატებს, რომ, თანახმად ამავე საბჭოს დადგენილებისა,
უკანასკნელი ვადა საწევრო ფულის გადახდისა დანიშნულია პირველი მარტი.
ვინც ამ დრომდის არ შემოიტანს ფულს, ის წესდების მე-11 მუხლის ძალით წევრად ან კანდიდატად აღარ ჩაითვლება ჯარიმის გადაუხდელად.
1—918—1

ხუთშაბათს, თებერვლის 23
დანიშნულია
ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა
კრება

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხახხლის სნეულებისას სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბომონდის" პირდაპირ.
თ—1018—2

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
ჟორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე. ტელეფონი 14—37
1თ—960—10

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა — ფილტვის — პლევრის და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა (ს. ი.) სხივებით. დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანის სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., მებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92.
თ—986—16

დოქტორი მე-კლინიკა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
ყოფილი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინისა.
იღებს შინაგან და ნერვების ავადმყ. (პსიხოტერაპია) სამშაბათობით, ოთხშაბათ., ხუთშაბ. და პარასკევ. 3—5 საათ. ოლღას ქუჩა № 22.
თ—989—15

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის ყურის ყელის და ცხვირის სნეულებიან ავადმყოფებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე, საღამოს 5-დან 7-მდე. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.
თ—907—7

სამკურნალო კაბინეთი ექიმ
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიც"-ის პირდაპირ ტელეფონი 14—28.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს
თაოსნობით ხუთშაბათს 22 თებერვალს შუადღის 12 საათზედ
ახალი კლუბის დარბაზში გაიმართება
კრება-მიტინგი.
მიტინგის საგანია: საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მობილიზაციის საკითხი.
2—917—2

## საგარეო პოლიტიკა და შინაური მტრები

ვინაა დამნაშავე, რომ საქართველოს ასეთი განსაცდელი ეწვია? არა ბოლშევიკები, არა ოსმალეთი ან გერმანეთი, არამედ მხოლოდ ჩვენ და სახელოვანი ჩვენი მთავრობა.

ოსმალეთის მთავრობამ, ამიერ კავკასიის საკითხის გადასაწყვეტად, უწინარეს ყოვლისა, „დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის მთავრობას" მიჰმართა და საზავო მოლაპარაკების გამართვის წინადადება მისცა. მას შეეძლო, რასაკვირველია, არავითარი ანგარიში არ გაეწია იმ მთავრობისთვის, თვითონ არ სცნობდა თავის თავს და მუდამ დარღვეულ რუსეთის ნაწილებად. მაგრამ ოსმალეთმა სცნო ამიერ კავკასიის მთავრობა უფლებამოსილად და მას ომის და ზავის გადასაწყვეტად, რომელიც მას არც დაუწყია და არც უწარმოებია, საერთაშორისო უფლებები მიანიჭა. უკეთესი პირობები რომ არ შეიქმნებოდა საშინელი ომის დასამთავრებლად, ეს კარგად უნდა სცოდნოდა ჩვენს მთავრობას. მიუხედავად ამისა, ამიერ კავკასიის კომისარიატმა უარი განაცხადა ოსმალეთთან მოლაპარაკების დაწყებაზე და ოსმალეთის მთავრობამ უპასუხა, რომ ზავის საკითხი რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადაწყვიტოსო. შემდეგ, როდესაც ჩვენი სოციალისტებისთვის სატრფიალო რუსეთის დამფუძნებელი კრება არ შესდგა და ბოლშევიკურ მთავრობამ ენერგიულად დაიწყო საზავო მოლაპარაკება, ამიერ-კავკასიის მთავრობას, ისევე, როგორც უკრაინას, საშუალება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში. ბოლშევიკების მიერ უკვე გარეკილი დამფუძნებელი კრების ერთგულებამ და რუსეთის დემოკრატიის ლოდინმა აქაც იჩინა თავი და ამიერ-კავკასიის დელეგაცია საზავო მოლაპარაკებაზე არ გაიგზავნა. რა გასაკვირველია, ამის შემდეგ, რომ ოსმალეთმა რუსეთის მთავრობას, ბოლშევიკებს შეუკრა ზავი და ანგარიში არ გაუწია იმათ, ვისაც თავის თავი რუსეთის პროვინციად მიაჩნდა და საკუთარ საზავო მოლაპარაკებაზე უარს ამბობდა?

ეხლა უკვე გვიანღაა თითზე კბენა. ჩვენი უმთავრობობის ჯერ მხოლოდ ყვავილებს ვხედავთ. საჭირო იყო საზავო მოლაპარაკების გამართვა აქ, ამიერ კავკასიაში ისე, როგორც ბოლშევიკები ბრესტში აწარმოებდნენ, და როცა ამის დრო იყო უარი განაცხადეს, ოსმალეთის და ბოლშევიკების ზავის პირობები რომ გამოირკვა, ჩვენ ეხლა ველით ოსმალეთის პასუხს, სურთ თუ არა მათ ხელ-ახლა ჩვენთან მოლაპარაკება. სეიმი რომ შეიყარა პირველს დღესვე აღიძრა საკითხი ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. ამით ბევრი რამ გამოსწორდებოდა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მეთაურებმა რამოდენიმეჯერ გადადვეს ამ საკითხის განხილვა და ამის ნაცვლად კომისიებს და დელეგაციებს ირჩევენ, რომ ქადაგებით და მოლაპარაკებით დაიწყნარონ განჯის და ერივნის გუბერნიები, სადაც ეხლა ნამდვილი ომი სწარმოებს ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვევლებით. ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობასაც უთუოდ მალე გამოაცხადებენ, მაგრამ მაშინ, როდესაც ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. ალბად მტკიცე მთავრობის მოწყობასაც შეუდგებიან, მაგრამ მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ერთიანად გაეხვევა ანარქიის ალში და ეს ცეცხლი ჩვენი ქვეყნის მეთაურებისათვისაც საშიში შეიქმნება.

ჩვენი სოციალისტური მთავრობა ცხოვრებას კი არ მეთაურობს და ხელმძღვანელობს, როგორც ეს ხდება ყოველს ქვეყანაში, დემოკრატიულს, თუ არა დემოკრატიულ სახელმწიფოში, არამედ კუდში მისდევს მას. რა გასაკვირველია, რომ ასეთი საზოგადოება უფსკრულში გადიჩეხოს თავის მოჩაჩანალე მთავრობასთან ერთად.

საქართველოს ეროვნული მთლიანობის დასაცავად საჭიროა ქართველი ხალხის ყველა ძალების გაერთიანება და ამოქმედება. ამას ვერ შეძლებს ისეთს წესზე აგებული მთავრობა, როგორიც დღეს გვყავს. მთავრობა, რომლის დადგენილებები არავისთვის სავალდებულო არ არის, რომელსაც არ აქვს ძალა და საშუალება არამც თუ მთელი ხალხი დაიმორჩილოს, არამედ თავის ხელქვეითებში თვითნებობა მოსპოს, ვერ შესძლებს ერის მეთაურობას ასეთს განსაცდელის დროს. ან როგორ შეიძლება მთელი ერის ამ დროება ეროვნული თავდაცვისთვის, როდესაც თვითეულს ქართველს თავის სახლში უხდება თავის ოჯახის დაცვა ძალმომრეობისა და ხოცვა-ჟლეტისაგან.

ჩვენი ქვეყანა დღემდის შინაურ ომს და ანარქიას განიცდის. დღეს ამას საგარეო საფრთხეც ემატება. დროა გონს მოვიდეს ქართველი ერი და დღევანდელი მისი მეთაურები! იმან, რაც ეხლა ჩვენში ეწყება, გაანადგურა და დალუპა დიდი რუსეთი. თუ დაუყოვნებლივ ვერ ავლაგმეთ ის ველური გრძნობები და ბნელი სტიქიონი, რომელიც იფლობს ჩვენს შინაურ ცხოვრებას, თუ დაჩქარებით არ განვამტკიცეთ შინაური მშვიდობიანობა და წესრიგი, ჩვენი სამშობლო უმწეო და უძლური იქნება, როგორც შინ, ისე გარეთ.

## ბათუმისათვის

ლენინებსა და კარახანებს თავიანთი თავი მშვიდობიანობის ანგელოზებათ მოჰქონდათ, მაგრამ მათმა ბრძნულმა გადაწყვეტილებამ ლამის ხელახალი ომის წინაშე დააყენოს ამიერკავკასია და ქართველი ერი. საქართველოს სხეული ჯერ კიდევ იმდენად უგრძნობი არ გამხდარა, რომ შეუშფოთებლად შეხვდეს ძალმომრე დოსტაქრებს, რომელნიც რუსული ნაბიჯით მისი მკვებავი ან მამოძრავებელი ასოების ჩამოჭრას სცდილობენ. რასაკვირველია, ქართველ დემოკრატიას არ სწყურია ომი ოსმალეთთან და თუ სტამბოლის მთავრობა სერიოზულ ანგარიშს გაუწევს ზავის წინადადებას, რომელიც მას უკანასკნელად თბილისმა მთავრობამ და ამიერ კავკასიის სეიმმა გაუგზავნა, მორიგება კიდევ შესაძლებელია.

არაფერს ვცდავთ [illegible] გულგრილად შევხვდით თვით ოსმალთ რაზმების მიერ უომრად ტრაპიზონის დაჭერას. ქართველ ერში ალისტური მიდრეკილება-

ნი ყოფილიყო, უეჭველია გაიხსენებდა, რომ ლაზისტანი ჩვენი მოდგმის შტოს ეკუთვნის და ტრაპიზონის იმპერია საქართველოს ვასსალურ თუ მოკავშირე სახელმწიფოს წარმოადგენდა ერთ დროს. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პრინციპის გულისთვის ამიერ-კავკასიელ და ქართველ დემოკრატიას შეიძლება შეეკვეცა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი და ოსმალეთისთვის უკან დაებრუნებინა არა მარტო ტრაპიზონი, არამედ ისპირი და თორთუმიც, რომელნიც ეთნოგრაფიულადაც და ისტორიულადაც საქართველოს ეკუთვნიან, რასაც ამტკიცებს არქიტექტურისა და ენის შერჩენილი ნაშთები.

მაგრამ თუ ოსმალეთმა ჩვენი ლოიალობა და მშვიდობიანი ზრახვა უძლურებაში ჩამოგვართვა და სერიოზული მნიშვნელობა მისცა ბრესტლიტოვსკის ზავის პირობებს, ნურას უკაცრავად თუ ქართველი ერი შეშფოთდეს და შესაფერი ზომები მიიღოს თავის დასაცავად. იმ დღიდან, რაც თბილისის კომისარიატი შესდგა, საქართველო აღარ წარმოადგენს რუსულ გუბერნიას, ამიტომ უეჭველია, რომ ქართველი ხალხისთვის სავალდებულო არ არის პეტროგრადის ბოლშევიკური მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებანი. ჩვენ კიდევ შეგვეძლია გულგრილად ვუცქიროთ თუ როგორ ჰყიდიან თავიანთ სამშობლოს ბ. ლენინი და ბ. ტროცკი, მაგრამ როცა მათი ხელები ჩვენს სამშობლოსაც ეხება, სხვა პასუხი არა გვაქვს გარდა უსაზღვრო გულისწყრომისა.

რასაკვირველია, ქართველ ერს არ შეუძლია უბრძოლველად დასთმობს თავისი საუკეთესო ნავთსადგური. დათმობის გზა არ არის მშვიდობიანობის გზა. ის უცხო ძალა, რომელიც დღეს ბათუმში გამაგრდება, ხვალ ფოთსა და სოხუმს მოითხოვს და პირველ ხარისხოვანი ციხის ზარბაზნები ქედს გაუმაგრებს ამ პრეტენზიებს. მეორე მხრივ უეჭველია, რომ ქართველი ერი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს თავის ზეთის ხილიან და დაფნის ფოთლიან რივიერას და ბათუმი, ართვინი და არტაანი მუდმივი შეიარაღებისა და ომის წყაროდ გარდაიქცევა ქართველი ხალხის მომავალი თაობისათვის, როგორც ბულგარეთისთვის მაკედონია ან იტალიისთვის ტრიესტი და ტრენტინო იყო. ბათუმისთვის ბრძოლას დღეს სწორედ ნათლად გაგებული პაციფისტური პოლიტიკა გვიკარნახებს. ჩვენ არ გვინდა, რომ ხვალ ბევრი ფულისა და სისხლის გამოღება დაგვჭირდეს იმისთვის, რაც შეიძლება დღეს უფრო იაფად და უფრო ადვილად შევინარჩუნოთ.

მით უმეტეს რომ საქართველო დღეს განმარტოებული არ იქნება ამ ბრძოლაში. ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება მიმართულია არა მარტო ქართველი ერის, არამედ იმ დიდი ევროპიული კოალიციის წინააღმდეგაც, რომელიც განაგრძობს ოსმალეთთან ბრძოლას. მსოფლიო ომი ჯერ არ გათავებულა, ჩვენც შეგვიძლია დიდი საერთაშორისო ძალების გამოყენება, ჩვენს გარშემო რომ მოქმედობენ. და არ გვგონია რომ ბრწყინვალე პორტისათვის დიდათ ხელსაყრელი იყოს ყარსისა და ბათუმის მიმართულებით ომის გაჩაღება, როცა მას ბაღდადისა და იერუსალიმის მიმართულებით მედგარი მტერი ემუქრება.

მაგრამ ქართველ ერს უწინარეს ყოვლისა თავის საკუთარი ძალღონის იმედი აქვს. შეიძლება სტამბოლელმა მთავრობამ გაიხსენოს ასი წლის წინანდელი ამბავი, როცა ერეკლე მეფემ სოფელ ასპინძასთან შემუსრა და უკუ აქცია ლეკ-ოსმალთა შეერთებული ლაშქარი. როგორც მაშინ რუსის გენერალმა, ისე დღეს რუსის სოციალისტებმა უღალატეს საქართველოს. მაგრამ მაშინ მეფე მხოლოდ ქართლ-კახეთს ბატონობდა, დღეს კი ქართველი დემოკრატია გაერთიანებულია შავი ზღვის ნაპირებიდან დაწყებული არტაანამდე. და ეს ერთსულოვანი ქართველი დემოკრატია დაანახვებს ქვეყანას, რომ მას ისევე კარგად შეუძლიან პატარა სამშობლოსთვის ბრძოლა, როგორც აქამდე დიდი საკაცობრიო იდეალებისთვის იბრძოდა.

გერონტი ქიქოძე

# ვიდრემდის?!

რუსეთის ბოლშევიკ-სოციალდემოკრატებმა რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესები პარტიულ ინტერესებს ანაცვალეს და მით რუსეთი დაანგრიეს.

თავისი მხრით ჩვენმა მენშევიკ-სოციალდემოკრატებმა თავის პარტიულ ინტერესებს საქართველო მსხვერპლად შესწირეს.

ქართველი კაცის სულსა და გულში „სამშობლოს" იდეა და „მამულის" სიყვარული ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრეს და მაგივრად პარტიულის, გამთიშველის, დამაკნინებელისა და განმანადგურებელი შუღლის თესლი ჩასთესეს.

ქართველი დღეს სოციალდემოკრატი უფროა, ვიდრე ქართველი, და თავისი მეზობლის მტერი უფროა, ვიდრე გარეშე მტრისა.

ოცი წლის დაუცხრომელმა ქადაგებამ ქართველ ხალხს თავის ეროვნულ უფლებაზე გული აუცრუა და დღევანდელ განსაცდელიან წამს, როდესაც ეროვნულ ძალთა ერთად შეკრება, მობილიზაციაა საჭირო, მწვავე შინაურ ბრძოლას აწარმოებს.

ნოე ჟორდანიამ სთქვა სეიმის კრებაზე: მიწის მუშებს, რასაც შევპირდით, ბარემ ეს უნდა მივსცეთო! მაგრამ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მიწის მუშაცა და არა-მიწის მუშაც სხვის ლუკმად გახდებიან, რა დროსია მიწების გაზომვა და გაყოფა?! პირიქით, ბრძნული პოლიტიკა იმას მოითხოვს, რომ ჯერ საერთო ძალით დავიცვათ და შევირჩინოთ მიწა-წყალი და მხოლოდ შემდეგ გავასწოროთ ერთმანეთთან ანგარიში.

დიახ! სოციალდემოკრატიისა და სხვა სოციალისტების წყალობით თვითეული მიწის მუშა მოქალაქე კი არ არის და, მაშასადამე, საქვეყნო საქმისთვის კი არ იღწვის, არამედ მხოლოდ იმას ჰფიქრობს, რაც შეიძლება მეტი მიწა ჩაიგდო ხელში, და თავის სამოქმედო სარბიელი ვიწრო, პირადის მეწვრილმანური ინტერესებით შემოფარგლოს.

ეს არის მიზეზი, ქართველმა ჯარმა რომ საქართველოს საზღვრები მიატოვა და იმის მაგიერად, რომ გარეშე მტერს წინ გაუვალ კედლად გადაღობებოდა, ჩვენს დაბა-ქალაქებს დაუწყო რბევა.

და სოციალ-დემოკრატების მთავრობა იძულებული იყო ის ჯარი, რომლის სულიერი მიდრეკილებაც მან შექმნა, შეიარაღებული ძალით დაეშალა.

დიახ! გორსა და ქუთაისში რომ ქართველ ჯარისკაცებს იარაღი აჰყარეს, ეს—ერთსა და იმავე დროს სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკის სიკოტრეც არის და ჩვენი ეროვნული სირცხვილიც!

გვეტყვიან: მაგიერად სოციალ-დემოკრატებმა წითელ-გვარდიელების ჯარი შექმნესო. მაგრამ ცალმხრივად შედგენილი წითელი გვარდია შინაური ბრძოლის გამოსაყენებელი და პარტიული ბატონობის იარაღად უფრო გამოდგება, ვიდრე გარეშე მტერთან საბრძოლად.

ამგვარად სოც.-დემოკრატიამ ვერ შექმნა შეიარაღებული ძალა და საქართველო უწყლოდ დასტოვა, რომლის სხეულის განაწილებას უკვე შეუდგნენ მტერი და მოყვარე.

ამგვარადვე უსუსური გამოდგა მისი დიპლომატიური პოლიტიკაც. მას არა სწამს „სამშობლო" და მაშასადამე არც საქართველოს და არც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა. და ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, როგორც დამოკიდებული პროვინციის წარმომადგენელმა, რასაკვირველია, არ გამართა საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთანა და ავსტრია-გერმანიასთან.

სამწუხაროდ ისინი დღესაც აქეთსავე პოლიტიკას აწარმოებენ და ამიერ-კავკასიის სეიმმა მათი პარტიული ქენიანობის გამო ჯერ კიდევ ვერ გამოაცხადა ამიერ-კავკასია დამოუკიდებლად იმისდა მიუხედავად, რომ ეს—ერთად-ერთი გზა იყო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

ვიდრემდის განაგრძობს ჩვენში გაბატონებული პარტია ჩვენის ეროვნული არსობის გამანადგურებელ პოლიტიკის წარმოებას? არა კმარა ამ პოლიტიკის მიერ შექმნილი ფინანსიური, სავაჭრო და სამრეწველო კრიზისი და საადგილ-მამულო ანარქია?! არა კმარა ამდენი შეცდომა და ამდენი ეროვნული უბედურება?!

ვიდრემდის იქნება ქართველი ხალხი იმ პარტიის ხელში, რომელსაც საქართველო, როგორც სახელმწიფო და ერი, არა სწამს?!

ვასილ წერეთელი.

# ქართული პრესა

„ერთობა" ამიერ-კავკასიის ბედს ეხება და ჩვეულებრივად ყოველგვარი უბედურობის წყაროდ ბოლშევიკებს სახავს.

„ამიერ-კავკასიის ბედი ბოლშევიკების ავანტიურისტებმა ერთის დაკვრით გადასწყვიტეს და იგი ოსმალეთის პროვინციათ გამოაცხადეს. ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების გადაცემით ამიერ-კავკასიის არსებობას, მის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას აღმოსავლეთის დესპოტიზმის რკინის სალტეები ერტყმება და მთელი დემოკრატია რევოლუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას ეთხოვება.

**ამიერ-კავკასიის ასეთ ბედს დიდი ხანია მოველოდით.** (ხაზი ჩვენია) მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა რუსეთის ჯარები გაათახსირეს და დასავლეთისა და კავკასიის ფრონტები გააშიშვლეს, ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტებს საშუალება მიეცათ რუსეთისათვის, რაც უნდოდათ, ის ჩამოეთალათ და მრავალი ტერიტორიები დაესაკუთრებიათ. თვით დამარცხებული და დასუსტებული ოსმალეთიც კი სრულიად გამარჯვებული გამოვიდა და ბოლშევიკების საზავო პოლიტიკის მეოხებით აღმოსავლეთისაკენ 1877 წლის საზღვრების აღდგენას აპირებს. უკანასკნელი გარემოება კი ოსმალეთის მთავრობას საშუალებას მისცემს კავკასიის ქედამდის თავისი დროშა აფრიალოს.

მაშასადამე ამიერ-კავკასიას დიდი საფრთხე მოელის და მისი მცხოვრებნი დიდ განსაცდელის წინაშე სდგას. მაგრამ ჩვენ სასოწარკვეთილებას არ მივსცემივართ, ამიერ-კავკასიის ბედი საბოლოვოთ გადაწყვეტილათ არ მიგვაჩნია და გამოსავალი გზები დაგვრჩენია.

თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ კავკასიის ბედი ოსმალეთის მაშტაბით არ გადასწყდება და უკანასკნელს—იგივე მოკავშირეები ნებას არ მისცემენ, რომ ოსმალეთი—ეს სრულიათ განუვითარებელი და დაქვეითებული სახელმწიფო ასეთ მდიდარ კუთხეს დაეპატრონოს, როგორიც არის ამიერ-კავკასია.

ამიერ-კავკასიის (თუ უფრო საქართველოს) ასეთს ბედს ჩვენი სოციალ-დემოკრატები თურმე დიდი ხანია მოელოდენ. მერე რა ზომები მიიღეს მათ? ბოლშევიკებმა ფრონტი დაშალეს და ჯარი გაათახსირესო. განა მარტო ბოლშევიკებს მიუძღვის ამის ბრალი? თუ ამიერ-კავკასიის მთავრობა ასეთს უბედურებას მოელოდა, რად არ დასთანხმდა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების გამართვას, ან ეხლა მაინც რად არ აცხადებს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას რომ ოსმალეთმა და მისმა მოკავშირეებმა ცოტაოდენი ანგარიში მაინც გაუწიონ მათ. აქამომდე ჩვენს სოციალ-დემოკრატებს ევროპის დემოკრატიის იმედი ჰქონდათ, შემდგომ რუსეთის დემოკრატიას ემოუჭებოდენ და ეხლა კი აღარ მალავენ—იგივე მოკავშირეები (ე. ი. ავსტრია და გერმანია) ნებას არ მისცემენ ოსმალეთს, რომ ჩვენს ქვეყანას დაეპატრონოსო. ამ მხრივ მაინც რა ნაბიჯები გადადგა ჩვენმა მთავრობამ? არავითარი. თამამი იმედები ჩვენს მთავრობას სხვაც მრავალი ჰქონია, მაგრამ ამით არაფერი გაკეთებულა.

---

**გაზეთი და პარტიის საორგანიზაციო საქმე არა ჩვეულებრივ ხარჯებს მოითხოვს. ყოველი პარტიის წევრი ვალდებულია პარტიას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.**

---

# ზავის გარშემო

## ზავი გერმანეთთან

## საზავო მოლაპარაკების უკანასკნელი დღე

### დელეგაციის დაბრუნება ბრესტ-ლიტოვსკიდან

იანვრის 31-ს დილის 5 საათზე, ბრესტლიტოვსკიდან ჩქარი მატარებლით დაბრუნდნენ ტროცკი, ბრონშტეინი და რადეკი. დილის 10 საათზე მათ მოჰყვნენ მეორე მატარებლით დელეგაციის დანარჩენი წევრები, გარდა ორი სამხედრო ექსპერტისა, რომლებიც დარჩნენ ბრესტლიტოვსკში სადემარკაციო კომისიის დასასრულად.

დაბრუნებული დელეგატები კონფერენციის უკანასკნელ სხდომის შესახებ შემდეგს ლაპარაკობენ.

### უკანასკნელი სხდომა

კონფერენციის უკანასკნელი სხდომა დაიწყო თებერვლის 10 (ახალი სტ.) დილის 8 საათზე. ტროცკი-ბრონშტეინმა დეკლარაციის შესავლის კითხვა დაიწყო. გერმანელი და ავსტრიელი დელეგატები მას ირონიულ ღიმილით შეხვდნენ. ხოლო როდესაც ტროცკიმ დეკლარაციის უკანასკნელი ნაწილი წაიკითხა და კატეგორიული უარი განაცხადა საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შესახებ,—ავსტრია-გერმანეთის დელეგატები პირდაპირ გაშეშდნენ. რუს დელეგატებისაგან ალბად ისინი ასეთ ნაბიჯს არ მოელოდნენ.

კარგა ხნის პაუზის შემდეგ კიულმანი შეეკითხა:

— მაშ რა უყოთ იმ ზოგიერთ კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვენ. კერძოდ თუნდაა—ვაჭრობის განახლებას, დიპლომატიურ ურთიერთობას, ტყვეებს და სხვა ამ გვარი.

გრაფ ჩერნინმა წინადადება შეიტანა, გაემართათ თუნდაც ერთი საქმიანი სხდომა კონკრეტულ საკითხების გადასაწყვეტად. რუს დელეგატებმა ამაზე უარი განაცხადეს და დასძინეს რომ თუ საჭირო იქნება შემდეგში მოლაპარაკებას რადიოთი ვაწარმოებთო, ან და მოვიწვევთ პეტროგრადში მყოფ ავსტრია-გერმანეთის დელეგატებს და მათ საშუალებით განვაგრძობთ საზავო მოლაპარაკებას. ამავე დროს ტროცკიმ ითხოვა, რომ დილის 8 საათისთვის მატარებელი დაეთმოთ პეტროგრადში წასასვლელად. მეორე დღესვე ტროცკი-ბრონშტეინი, კარელინი და რადეკი ჩქარი მატარებლით დვინსკისკენ გამოემგზავრნენ. გზა და გზა მგზავრებს გერმანელი ოფიცრები და ჯარის კაცები სასტიკ თვალყურს აქცევდნენ. გროდნოში მატარებელს მათი ჯარები უხვდებოდა.

### მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზები.

რუს დელეგაციამ გამოარკვია რომ ცენტრალ სახელმწიფოების დელეგაციის ფაქტიური ხელმძღვანელი იყო სამხედრო პარტია. ამ პარტიის სურვილების გამომხატველი კონფერენციაზე გოფმანი იყო.

ასეთ პირობებში თავისთავად ცხადი იყო რომ ავსტრია გერმანეთის დელეგაცია არაფერს დასთმობდა არა მარტო ანექსიის საკითხში არამედ კონტრიბუციის საკითხშიც. ავსტრია-გერმანეთის დელეგატები პირველ რიგში ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგს აყენებდნენ, ალბად მისთვის, რუსეთს ხელი აეღო ავსტრია-გერმანეთის ჯარების მიერ დაჭერილ ადგილებზე. კერძო საუბარში გერმანეთის დელეგატები გაკვრით ამბობდნენ, რომ მათ ჰსურთ ულტიმატუმის წარდგენა, მაშინ რუს დელეგატებს შეუძლიანთ სთქვან, რომ მათ ძალას დაუთმეს.

უკანასკნელ დღეებში ყველანი ნათლად გრძნობდნენ რომ ცენტრალ სახელმწიფოების დელეგატებს გადაჭრილი დირექტივები ჰქონდათ მიცემული. ეს დირექტივები გამოიხატებოდა: რაც შეიძლება მოლაპარაკების მალე დასრულებაში და სეპარატიულ ზავის შეკვრაში. ამ დღეებში მათ უკრაინის რადასთან უკვე სეპარატიული ზავი ჰქონდათ შეკრული.

---

# ომი

## პეტროგრადის ალება

გერმანეთის ოფიციალ ცნობით, ესტონელთა თეთრმა გვარდიამ, გერმანელთა დახმარებით აიღო ქ. რეველი და პეტროგრადი, საბჭოთა მთავრობამ ხიდები ააფეთქა. ლუგა-ბოლოგოეს ხაზზე გერმანელები წინ იწევენ.

## იაპონელები ვლადივოსტოკში

იაპონიის პეტროგრადელმა ელჩმა სახალხო კომისართა საბჭოს აცნობა, სიმართლეს მოკლებულია ის ამბავი, ვითომც ვლადივოსტოკი მათ ჩაიგდოთ ხელში. ვლადივოსტოკში, როგორც წინედ იმყოფება იაპონელი კრეისერები. ამ კრეისერებს არავითარი სამხედრო მიზნები არ აქვთ დასახული.

---

# ბოლშევიკების დიქტატურა

## პეტროგრადში

### ელიზაროვის გადადგომა

გზათა საქმეთა კომისარი ელიზაროვი (ბოლშევიკი) სამსახურიდან გადადგა. მის ნაცვლად ნევსკიაა დანიშნული. ელიზაროვს „ანტისახელმწიფოებრივ" მოღვაწეობას აბრალებენ.

### მღვდელმსახურების შეჩერება

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ხაზინიდან მიეცეს შესანახი ფული ეკლესიებს და ნიშებს და მღვდელმსახურება დაუყონებლივ შეაჩერონ. ეკლესიის მსახურთ და სადვთო სჯულის მასწავლებლებს ფულის მიცემა პირველ მარტიდან მოესპობათ. ღვთის მსახურების ნება მიეცემათ მორწმუნეთა კოლექტივებს, რომელნიც აიძრავენ ამის შესახებ შუამდგომლობას და თავიანთ ხარჯზე შეინახავენ სადგომებს, ინვენტარს და მოსამსახურეებს.

### ლიტურგიის აკრძალვა

სახალხო კომისართა საბჭო ამზადებს დეკრეტს ლიტურგიისა და საეკლესიო ქორწილის აკრძალვის შესახებ. დეკრეტში ამის გარდა მოხსენებულია პოპულიარულ ტაძრების დაკეტვა.

## მოსკოვში

### ველიკოროსთა ყრილობის აკრძალვა

მოსკოველმა ბოლშევიკებმა სასტიკად აკრძალეს ველიკოროსთა ყრილობა.

### კრემლის განახლებისთვის

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა კრემლის განახლებისთვის გადასდოს 45 ათასი მანეთი. აკრძალულია ფულის კერძოდ და ეკლესიებში მოგროვება.

## პროვინციაში

### ბოლშევიკები ნოვოჩერკასკში

ნოვოჩერკასკელ ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი და სახელმწიფო ბანკიდან 350 ათასი მანეთი გაიტანეს. საერობო კრედიტს ფულს აღარ აძლევენ. მრავალი დაწესებულება და მოსამსახურენი უნუგეშო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ.

### ორენბურგის ალება

ბოლშევიკურ გაზეთების ცნობით ორენბურგი რევოლიუციონურ ჯარებს აუღიათ.

### უნივერსიტეტის დახურვა

ყაზანის უნივერსიტეტი უსახსრობის გამო იხურება.

### მთავრობის გამოცვლა

სარაპულში (ყაზანის გუბერნია), ბოლშევიკური მთავრობა გამოცვლა. ადგილობრივი მეციხოვნე ჯარი დათხოვნილია.

### ტამბოვში

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საზოგადო ყრილობამ, ტამბოვში ერთხმად დაადგინა, მთავრობა ბოლშევიკების ხელში გადავიდეს.

### ასხაბადი

აჯანყებულ ყაზახობას სახალხო კომისრებმა მოსთხოვეს იარაღის აყრა. როსტოვცევოში ბრძოლის დროს ყაზახობა დამარცხდა და იარაღიც დაჰყარა.

---

# უკანასკნელი დეპეშები

**ტრაპიზონიდან ოსმალეთის საზავო დელეგაცია უკვე წამოსულა ტრაპიზონში. ამიერ კავკასიის მთავრობის დელეგაცია გუშინ, თებერვლის 21 ღამით, გაემგზავრა ტრაპიზონს მოსალაპარაკებლად და საბოლოო ზავის შესაკრავად ოსმალეთთან.**

—

**ბაშკიჩეტიდან ამიერ კავკასიის კომისარიატს დეპეშითატყობინებენ: თრიალეთში საშიშო მდგომარეობაა. მცხოვრებლებს დიდ გასაჭირში აყენებენ შეიარაღებული მაჰმადიანები. თებერვლის 19-ს რუსების სოფელს დაეცნენ. კარაკლისში მუსულმანები მცხოვრებლებს ხძარცვავენ და ხოცავენ.**

—

**თებერვლის 20-ს ერევანში დიდი სროლა ყოფილა. დაჭრილ დახოცილები არიან. ვინ და რამ გამოიწვია სროლა, ჯერ გამოურკვეველია. ამ ჟამად ქალაქში სიწყნარეა.**

—

**ეკატერინოდარ.სობოროში მღვდელს პარაკლისი გადაუხდია მეფის სადღეგრძელოდ და მონარქიულ წესწყობილების დასამყარებლად. ქალაქის კომისარს მღვდლის დატუსაღება მოუთხოვნია. მლოცველებმა კომისარი განდევნეს.**

—

**როგორც თბილისში ლაპარაკობენ, აჭარიდან გადმოსული „ჩეტნიკები" დასცემიან ნატანებს (გურია) გურიის რაზმებს ისინი განუდევნიათ. „ჩეტნიკების" მეთაურები შეუპყრიათ და ბათომის ციხეში გაუგზავნიათ.**

—

**თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით, სევასტოპოლიდან გამოსულა ჯავშნიანი გემი „დაკია" და სოხუმისკენ წამოსულა. ფიქრობენ, ვითომც „დაკიის" მეზღვაურებს გადაწყვეტილი ჰქონდეთ, გაანადგურონ სოხუმი.**

—

**ჟულფიდან მე-66 დივიზიონის კომიტეტის თავმჯდომარე სიშკო დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: ჟულფასა და შახტახტირში ჩვენ ცოტანი დავრჩით. თათრები და ქურთები ძალებს თავს უყრიან ჩვენ გასანადგურებლად და იარაღის დასატაცებლად. უარტილერიოდ ჩვენ ვერას გავაწყობთ. გთხოვთ მოგვაშველოთ ჯავშნიანი მატარებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებელი იქნებით საზოგადოებისა და მომავალ თაობის წინაშე ჩვენი დაღუპვისათვის.**

---

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **ეროვნულ საბჭოს მიტინგი.** დღეს, შუადღის 12 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში ეროვნულ საბჭოს თაოსნობით იმართება დიდი მიტინგი, რომლის საგანია: საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მობილიზაციის საკითხი.

◆ **კათალიკოზ პატრიარქის ავადმყოფობა.** კათალიკოზ პატრიარქს უარესობა ეტყობა, სიცხე 39,2 სუნთქვა 22, მაჯის ცემა 100. იმართება ყოველ დღე კონსილიუმი, წამლობენ ექიმები: გონაძე, ვირსალაძე, გომართელი, გედევანიშვილი, ჯავახიშვილი და ვორობიოვი. მდგომარეობა სერიოზულია.

◆ **მილიციის გაფიცვა.** თებერვლის 20 დილიდან გაიფიცა ქალაქის მილიცია, რადგანაც ორი უკანასკნელი თვის ჯამაგირი არ მიუღიათ.

◆ **გ. დადაქიშვილის მოკვლის გამო.** თებერვლის 19-ს, დილის 7 ნახ. საათზე, კავკავში, სასტუმრო „ევროპა"-ში, რომელიც შუა ქალაქში იმყოფება და ყველაზე დიდი სასტუმროა, შესულა ოთხი შეიარაღებული კაცი და დადაქიშვილის ოთახის კარებზე დიდხანს უკაკუნებიათ. დადაქიშვილს გაუღია თუ არა კარები, ექვსჯერ დაუხლიათ მისთვის რევოლვერი. სასტუმროს პატრონი და მსახურნი შიშისაგან მიმალულან. სასტუმროს მდგმურები გამოსულან და დადაქიშვილი მკვდარი უნახავთ კორიდორში. მკვლელებს დადაქიშვილის ოთახიდან სანივთე კალათი გაუტანიათ, მაგრამ წაღება ვერ მოუხერხებიათ და სასტუმროშივე დაუგდიათ. ნამდვილი მიზეზი მკვლელობისა ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

◆ **თხოვნა დადაქიშვილის მკვლელობის გამო.** ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ეგ. გეგეჭკორმა ამა თვის 20-ს დეპეშით სთხოვა დაღესტან-თერგის მთავრობას ფიცხელი ღონისძიება იხმაროს გ. დადაქიშვილის მკვლელების აღმოსაჩენად.

◆ **მასწავლებლების მიწვევა სემინარიაში.** თბილისის ქართულ სასულიერო სემინარიის მასწავლებელთა კოლეგიამ სემინარიის მასწავლებლებად მიიწვიეს არქიმანდრიტი ნაზარი და ბ-ნი სარაძე. პირველმა უნდა ასწავლოს კანონიკა, ხოლო მეორემ დოგმატიკა და ზნეობრივი ღვთის მეტყველება.

◆ **ვალ. შალიკაშვილის ბენეფისი.** დღეს ქართულ კლუბში გაიმართება ვალ. შალიკაშვილის ბენეფისი 15 წ. სასცენო და სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად. წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა „გადაჭრილი მუხა".

◆ **ქურდობა.** თებერვლის 18-ს გოსპიტლის საწყობიდან მოუპარავთ 50 ფუთი საპონი. ქურდობა მოუხდენიათ გოსპიტლის ეკონომს და გოსპიტლის კომისრის თანაშემწეთ, რომელთაც ნაქურდალი საქონელი უნდა მიეყიდნათ მეღუქნე გეორქოვისათვის, მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ ჯაფარიძეს დროზე გაუგია ქურდობა და მოპარული საქონელი დაუჭერია.

## ქუთაისი

◆ **ვასილ ლომინაძის მოკვლა.** გუბერნიის კომისარმა გურიიდან დეპეშა მიიღო, რომ ლანჩხუთში დაუპატიმრებიათ ცნობილი ყაჩაღი ვასილ ლომინაძე, იგი მიჰყავდათ მილიციელებს მაგრამ გაქცეულა და იქვე მოუკლავთ.

◆ **სამხედრო წესების მოხსნა.** საგანგებო კომისია, რომელიც გამოყოფილი იყო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებიდან და ქუთაისის ანარქიის დროს წესიერებას იცავდა, მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქუთაისში 16 თებერვლიდან მოხსნილია სამხედრო წესები.

◆ **არტილერისტების მიღება.** მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა არტილერიის ბრიგადის უფროსს, რომ არც ერთი ჯარის კაცი არ იქნეს მიღებული ხსენებულ ნაწილში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დაუკითხავად.

◆ **ახალი ხიდის გაკეთება.** თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა ამიერ კავკასიის ქალაქთა კავშირის ინჟინერი ბესინსკი, რომელიც გუშინ ქალა-

ქის საბჭოს არაჩვეულებრივ სხდომაზე მოხსენება უნდა გაეკეთებინა ქუთაისში მდ. რიონზე მეოთხე ხიდის გაკეთების შესახებ. ამავე კრებაზე უნდა გარჩეულიყო კითხვა წყალსადენის შესახებ.

## ახალქალაქი

✦ **ილია ალხაზიშვილის მოკვლა.** (დეპეშა). „თებერვლის 15 საზიზღარ პროვოკაციის წყალობით ბრბომ თვითგასამართლებით მოჰკლა ჩემი ქმარი ილია ალხაზიშვილი. დამეხმარეთ. მარიამ ალხაზიშვილი".

## თიანეთი

✦ **ფულის მოპარვა.** 7 ამ თვეს სარაიონო კომისრის ქუმსიაშვილის ბინიდან, იმ დროს, როცა ის თვითონ შინ არ იყო და არც მცველი ჰყავნდა, მოიპარეს თიანეთის მანდატზე მეტი, რომელიც ჯარისკაცების ცოლ-შვილებისთვის უნდა დაერიგებინათ. ეჭვი ორ კაცზე მიიტანეს და შეიპყრეს.

## ს. ხაშმი

✦ **თავდასხმა.** 14 თებერვალს შუაღამისას ს. ხაშმის მახლობლად (გარეკახეთი) დ. მანდენოვის ბაღში შეცვივდა ცხრა შეიარაღებული ბოროტგამზრახველი და მებაღეებს მოსთხოვა კარის გაღება. უკანასკნელნი არ დასთანხმდნენ. მაშინ ბოროტ-გამზრახველებმა შეამტვრიეს კარები. ძვირფასი ნივთები სულ წაიღეს. ბოროტმოქმედთა ვინაობა არავინ იცის, მხოლოდ ჯარისკაცის ფორმაში ყოფილან გამოწყობილნი.

## ს. სართიჭალა.

✦ 13 თებერვალს სართიჭალის ნაწილის კომისარიატს განუცხადა თევდორე პუშკარიოვმა, რომ 7 თებერვალს თავის ნაცნობ ადამ ხმალაძესთან ერთად თბილისში ყოფნის დროს წასულან ნომერში ღამის გასათენებლად. ძილისას დროს ა. ხმალაძეს მუქარით მოუთხოვია პუშკარიოვისათვის ფული. შეშინებულ პუშკარიოვს გადაუცია 6000 მანეთი ფული და აგრეთვე სხვა და სხვა საბუთის ქაღალდები. ხმალაძე მიმალულა.

## სასურსათო საქმე

✦ **უპურობა.** თებერვლის 21-ს თბილისის სასურსათო გამგეობას არსაიდან არავითარი სურსათ-ანოვაგე არ მოსვლია.

✦ **სასურსათო ტრანსპორტი.** კავკავიდან სიმინდის ფქვილის გამოგზავნა თბილისში დაიწყო გუშინ, თებერვლის 21-ს. ამ ჟამად კავკავში არის საგუბერნიო სასურსათო გამგეობის მოიჯარადრის ბ. ბეჟოევის 28 ფურგონი და ივივე ბეჟოევი ამ დღეებში კიდევ გაგზავნის 100-მდე ფურგონს. გარდა ამისა საგუბერნიო სასურსათო გამგეობას სხვადასხვა ორგანიზაციებმა აღუთქვეს 60 ფურგონი, რომლებიც ამ დღეებში წავლენ კავკავს. ამრიგად ამ რამდენიმე დღეში მზად იქნება 200-მდე ფურგონი ფქვილის გადმოსატანად კავკავიდან.

## პარტიული ცხოვრება

✦ **მთავარმა კომიტეტმა დაადგინა:** პროვინციის ყველა პარტიული ორგანიზაციებს დაევალოს, რომ თვითონ რაიონში თვალყური ადევნონ პარტიული გაზეთის გავრცელებას ამის, შესახებ ყოველგვარი ცვლილებები და საჭიროებები აცნობონ მთავარ კომიტეტს.

✦ **მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმი** იკრიბება ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე.

✦ **ეროვნულ დემოკრატ სტუდენტთა** კრება შესდგება დღეს, საღამოს 5 საათზე, მთავარ კომიტეტის ბინაზე.

✦ **სამხარო კომიტეტების შეერთებული კრება.** კვირას, თებერვლის 25, დღის 12 საათზე, სამეურნეო ბანკის შენობაში დანიშნულია თბილისის ყველა სამხარო კომიტეტების წევრთა კრება. კრების საგანია: 1. მოხსენება თბილისის ძველი კომიტეტის ანგარიშისა, 2. არჩევა წარმომადგენლების თბილისის კომიტეტში და 3. საორგანიზაციო კითხვები. ვსთხოვთ ყველა სამხრო კომიტეტების წევრთ მ ბრძანდენ დანიშნულ დროზე.

# ამიერ კავკასიის რუსეთი მომენტის შესახებ

რუსთა ეროვნულ საბჭოს დროებითმა ბიურომ შემდეგი რეზოლუცია მიიღო თავის უკანასკნელ სხდომაზე:

„რუსთა ეროვნულ საბჭოს დროებითი ბიურო აღიარებს, რომ სახალხო კომისართა საბჭოს უფლება არა აქვს ოსმალეთთან სამშვიდო პირობები შეჰკრას ამიერ-კავკასიის საზღვრების შესახებ. დროებით ბიურის შეუძლებლად მიაჩნია ოსმალეთს გადაეცეს ყარსი, არდაგანი და ბათუმი.

თავის მოთხოვნილებათა დასაცავად—რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის საზღვრების დასაცავად საჭიროა რუსეთის რევოლუციონურ დემოკრატიასთან შეთანხმება.

რუსთა ეროვნულ საბჭოს დროებითი ბიურო აღიარებს, რომ ამიერ კავკასიის სეიმს უფლება აქვს გაგზავნოს დელეგაცია სეიმის მიერვე შემუშავებულ პირობებით ოსმალეთთან ზავის შესაკვრელად, მაგრამ მისი აზრით ამიერ კავკასიის გამოყოფას რუსეთისაგან საჭიროება არ მოითხოვს, შეუფერებელია, გაუგებარი და დამღუპველი იქნება, არამც თუ მარტო მკვიდრ რუსთათვის, არამედ თვით ამიერ კავკასიისთვისაც.

ემყარება რა ყველა ამას, რუსთა ეროვნულ საბჭოს დროებითი ბიურო სთხოვს სეიმს ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ დადგენილება არ გამოიტანოს.

# † გიორგი შერვაშიძე

(დეპეშა)

**სოხუმი.** გარდაიცვალა აფხაზეთის უკანასკნელ მთავრის ძე, ცნობილი ქართველი ლიტერატორი გიორგი შერვაშიძე. განსვენებული მედგრად იცავდა საქართველოს ინტერესებს აფხაზეთში.

თავდგირიძე.

გიორგი შერვაშიძე შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო რუსეთის მეფეებისა და მთავრობის. რუსეთის მეფემ ფლიგელ-ადიუტანტობა შესძლია მას, მაგრამ იმან არ მოისურვა და უარი განაცხადა. რუსის წინანდელმა მთავრობამ თითქმის ყველა მამული ჩამოართვა მას. გიორგი ევროპიულად განათლებული კაცი იყო და თითქმის ყველა ევროპიულ ენებზე თავისუფლად ლაპარაკობდა. მას რამდენიმე წილიც უდევს ქართულ ლიტერატურაში. ისეთ სიღარიბეში გარდაიცვალა ის ეხლა, რომ დასასაფლავებელი შეძლებაც კი არა დარჩენია რა.

# თელავის მდგომარეობა

თელავიდან პირდაპირი მავთულით ცნობა მოვიდა: „ქალაქი ადგილობრივ ქართველ ჯარისკაცთა მეორე პოლკის ხელშია. გუშინ ჯარისკაცებს და მილიციონერებს შეტაკება მოუვიდათ. რამდენიმე კაცი მოკვდა, მილიციონერები გაიქცნენ. ჯარის-კაცები იჭერენ მილიციონერებს და კომისრებს და ხვრეტენ. გვიშველეთ.

მდგომარეობა გაუარესდა, მილიციონერები და კომისრები გაიქცნენ. ჯარისკაცები იტაცებენ კომისარიატის ქონებას და ვერავითარ ზომებს ვერ ვიღებთ მათ წინააღმდეგ. კომისარიატი გაძარცვეს. გაიტაცეს თოფები, პატრონები და ქაღალდები დასწვეს. თუ ეხლავე არ მოგვეშველეთ მთელ ქალაქს გაანადგურებენ. თუშების როტა ჯერ ნეიტრალიტეტს იცავს და შეიძლება ჩქარა სულაც წავიდეს. ერთად-ერთი საშუალება—ფიზიკურ ძალის ხმარებაა. დღეს ქალაქის გამგეობამ კრებაზე დაადგინა: თელავის ქალაქის თვითმმართველობამ რევოლუციონურ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ პოლკის წარმომადგენლებთან ერთად განიხილა მომხდარი ამბავი და დაადგინა გადასცეს ქალაქის კომისარიატი ჯარისკაცებს და პოლკში განიხილავენ ამ საკითხს". შემდეგს საღამოს შეგატყობინებთ. საჭიროა სწრაფი დახმარება, თორემ უარეს მოველით.

# ახალციხის ამბები

19 თებერვალს, შუადღისას ახალციხიდან რუხაძე პირდაპირი მავთულით გვატყობინებს ქალაქის მდგომარეობას: „ჩვენმა ჯარისკაცებმა, როგორც იყო, დასთხეს 116 პოლკის ქანების ნაწილი და მაჰმადიანები ქალაქში შემოუშვეს. ამ გარემოებამ დიდი მღელვარება გამოიწვია ადგილობრივ სომხობაში. ქალაქის თვითმმართველობამ გადასწყვიტა, მაჰმადიანები ქალაქში არ შეეშვა. დღეს ახალქალაქიდან იტყობინებიან, რომ ქართულ სოფლებს: „ზედათმოგვს, აჯარას, თელოვშს და კუვწას თავს დაეცნენ მაჰმადიანები და მოსთხოვეს იარაღიო". როცა მე თვითონ გავემართე ამ სოფლებისაკენ, გამოირკვა, რომ ეს ხმები მეტად გაზვიადებულია, თუმცა კერძო მუქარას ზოგგან ჰქონია ადგილი. ასპინძიდან ხერთვისამდე მაჰმადიანები მშვიდად დაგვხვდნენ, მხოლოდ გაგვაფრთხილეს კი, რომ სარობთან სროლაა. სოფელ სარობთან, მთებიდან მართლაც სროლა აუტეხეს ჩვენს ავტომობილს, ჩვენ შევდექით და მოგვადგნენ ლეკებით გადმოსული სომხისა და ქართველი ჯარისკაცები.

მათ წაგვიყვანეს სარობში, რომელიც სამხედრო ბანაკს წარმოადგენს. აქ დაბანაკებულია 2,000 სომეხი და ქართველი ჯარისკაცი, მათ გვამცნეს, რომ ამ დღეებში ველით არტილერიასაც და იმედი გვაქვს მაჰმადიანობა გავმუსრთოთ. შემდეგ მთვრალმა და გონდაკარგულმა ბრბომ გამართა სჯა ჩვენს შესახებ. აპირობდნენ ჩვენს დახვრეტასაც და ციხეში დაპატიმრებას, ბოლოს გაგვანთავისუფლეს. როგორც ჰხედავთ, მდგომარეობა მეტად სერიოზულია და მოსალოდნელია დიდი უბედურობა, რომელშიც პირველნი ჩვენ მოვყვებით.

# ერევანში

ოფიციალი ცნობით, 17 თებერვალს, ყამარლუ-ულუხანლუში თათრებს და სომხებს ბრძოლა მოჰსვლიათ. ამავე ცნობით, სოფელ რეაზლუსთვის თათრებს ალყა შემოურტყამთ. სხვა ოფიციალი ცნობები ჯერ არ მიგვიღია. ერევნის საგუბერნიო კომისარი ტოროსიანცი, პირდაპირი მავთულით იუწყება: „სურმალინის ქურთები ჯალალოღლებთან და ადგილობრივ მაჰმადიანებთან ერთად, თავს დაეცნენ ყამარლუს, სადაც სომხის ჯარია და ბრძოლა გაუმართა, დილით, 17 თებერვალს. მე შევადგინე სამშვიდობო დელეგაცია და ყამარლუში გავგზავნე, მაგრამ ისინი ვერ ჩავიდნენ ადგილას, რადგანაც ახამ-ზალუსთან თათრებმა გზა მოუჭრეს. ახამზალუსთანავე დგას ჯარის ნაწილები, რომელნიც ქვეითად მიდიოდნენ შტაბის განკარგულებით. 18 თებერვალს, ერევნიდან ყამარლუში ჯარი გაიგზავნა და ახამ-ზალუსთან ისევ თათრებმა შეაჩერეს. ჯარი არ დანებდა და ბრძოლა გაიმართა. თათრებმა ულუხანლუდან მოიშველიეს ძალა, მაგრამ ჯარმა სძლია და თათრები გაიქცნენ.

# ციხე ვედენოს დაჭერა ჩაჩნებისაგან

ციხე ვედენოს მეციხოვნეთა უფროსმა ამას წინად ჩაჩნებისაგან წერილი მიიღო. ემუქრებოდნენ თუ ციხე ვისმე მიეცით სისხლის ღვრა აუცილებელი იქნებაო. ციხეს ჩაჩნები თავიანთ საკუთრებათ სთვლიან. ა. მუტუშევმა ცნობა მიიღო რომ ციხეს ჩაჩნები შემორტყმიანო. იგი კარგახან ელოდა გორაკზე რუს დელეგატებს მაგრამ ამაოდ, ისინი არ ჩანდნენ და ტყვეების გაცვლაც არ მოხდარა. მაშინ იგი ვედენოსკენ გაემგზავრა, აქ იგი ციხეში შეუშვეს. ჯარისკაცებმა განუცხადეს, რომ მათ მოსწყინდათ მიყრუებულ ციხეში ყოფნა და სთხოვდნენ მუტუშევს ციხე ჩაებარებინა. მეციხოვნეთა თხოვნა ა. მუტუშევმა შეიწყნარა და ციხე ჩაიბარა.

# ტრაპიზონი

ტრაპიზონში 300 ოსმალო შემოვიდა სამხედრო მუსიკით და ქალაქი დაიჭირა. ქალაქის დეპუტაციის თხოვნით ოსმალები ხელს უწყობენ სურსათის ქალაქიდან გაზიდვაში. რუსის ჯარებს რამდენიმე ადგილას საწყობები აუფეთქებიათ და ბოლოს თვითონაც მოჰყოლიან საფრთხეში. 14 თებერვალს მოხდა დიდი აფეთქება სანაღმო საწყობისა და რამდენიმე ათასი კაცი დაიღუპა.

# ერზრუმში

ოსმალეთის სომხეთის გენერალ-კომისარის ცნობით არზრუმში მდგომარეობა გაუმჯობესდა. ექსცესები, რომლის შესახებაც იტყობინებოდნენ, ძალზე გაზვიადებულია. არზრუმის რაიონში მილიციამ ენერგიული ზომები მიიღო საეჭვო პირთა წინააღმდეგ. ქალაქში მკვლელობა არ მომხდარა. ხნისის და ვანის რაიონებში მდგომარეობა სანუგეშოა. ქარმუჯი და ახლათი თათრებს ისევ წაართვეს ჩვენმა რაზმებმა.

# გროზნაში

უკანასკნელ ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ადგილობრივ მოსახლეობაზე. განსაკუთრებით ებრაელებზე. ისედაც დადარიბებული ოჯახები, რბევისაგან იძულებულნი გახდნენ გასცლოდნენ ქალაქს და თავს უშველეთ. ამბობენ, რომ ძალად მაჰმადიანად აქცევდნენ ქალებიც მიჰყავდათო.

# ნავთის ხმარების შემცირება მრეწველობაში

წარსულ წლის ქრისტეშობისთვის 18-დან ნავთის მიღება ნავთის დენა შეწყდა. ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია ისიც თუ როდის განახლდება მიღება ნავთის დენა, და ამიტომ ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს კომისრის განკარგულებით, თბილისის ქალაქის ტრამვაის ნავთის ძალა შეუმცირდება თვეში 30 პროცენტით, ჯარებისათვის ბინის ამომჩენ საოლქო გამგეობას—76 პროცენტით, თბილისის საოლქო სამსაჯულოს 75 პროცენტით; აბანოებს—75 პროცენტით; სამკურნალო დაწესებულებებს 50 პროცენტით, სასაკლაოს 50 პროცენტით, პარის შუშის ქარხანას—50 პროცენტით: საპნის სახარშავ ქარხნებს—25 პროცენტით; ტყავისებისას —50 პროცენტით, სამქანიკოთ—50 პროცენტით; თამბაქოს ფაბრიკებს 50 პროცენტით: ტყის მხერხავ ქარხნებს—100 პროცენტით, საქიმიო და საქსოვ ქარხნებს—50 პროც., სამრეცხველ დაწესებულებებს—100 პროც., ნავთი შეუმცირდება აგრეთვე ბორჯომის შუშის ქარხნის 50 პროცენტით. ძანძულისა და კვარცხანის სამეტალურგიო ქარხნებს—პირველს 100 ით, ხოლო მეორეს 50 პროცენტით. ალავერდის ქარხნის—800 პროცენტით, ადიგენის სოფლის საზოგადოებას—100 პროცენტით; ჯარებისათვის ბინის ამომჩენ სარაყამიშის განყოფილების—75 პროცენტით, ალექსანდროპოლის განყოფილებას 75 პროცენტით; ჯულფის სასურსათო მაღაზიას—50 პროცენტით- ამ მხრივ არც რკინის გზები შეადგენენ გამონაკლისს. ამიერ კავკასიის რკინის გზას მოაკლდება 25 პროცენტი, არზრუმისას 77 პროცენტი, ბაქოს გზას—75 პროცენტი, თავრიზისას 25 პროცენტით და კახეთისას 25 პროცენტით.

# ამიერ-კავკასიის სეიმი

## თებერვლის 17-ს სხდომა

კრება გაიხსნა დღის 3 ს. და 15 წ. თავმჯდომარე აცხადებს, რომ ზავის კომისიამ უკვე დაასრულა მუშაობა და აირჩია დელეგაცია. სიტყვა ეძლევა კომისიის თავმჯდომარეს ნოე რამიშვილს.

**ნ. რამიშვილი.** ზავის კომისიამ უკვე შეასრულა თავის მოვალეობა. ავირჩიეთ დელეგაცია და შევიმუშავეთ რეგლამენტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს დელეგაციამ,

### საზავო დელეგაციის წევრები

სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისაგან აკაკი ჩხენკელი (თავმჯდომარე) და ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე;

„მუსავატი"-საგან მამედ განჯინსკი და ხას-მამედოვი;

„დაშნაკცუტიუნ"-ისაგან—კაჩაზნუნი და ხატისოვი;

ს.-რევოლუციონერებისაგან—ჩიკალინი;

მუსულმანთა სოციალისტურ ბლოკისაგან—იბრაგიმ განჯინსკი;

„იხიტიად"-დან (მუსულმანები რუსეთში)—მეხტიევი;

გუმეტისაგან—შეიხ-ულ-ისლამოვი;

ეროვნულ დემოკრატებისაგან—გვაზავა და ს.-ფედერალისტებისაგან—გ. ლასხიშვილი. ამასთან კომისიამ შეიმუშავა შემდეგი რეგლამენტი.

### რეგლამენტი

1) დელეგაცია გამოდის, როგორც ერთი მთლიანი, თავის თავმჯდომარეს საშუალებით, ან განსაკუთრებით, ყოველ ცალკე შემთხვევის დროს რწმუნებული პირი გამოდის სეიმის მიერ მიღებულ ძირითად დებულებების საზღვრებში და არავითარ სეპარატიულ გამოსვლას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

2) დელეგაცია დაწვრილებით ცნობებს აწვდის სეიმს მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ და ყოველ მნიშვნელოვან საკითხების დროს სეიმის წინასწარი ნებართვა უნდა ითხოვოს.

### კომისიების არჩევა

თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას აირჩიოთ კომისიები, უპირველეს ყოვლისა სამეურნეო მომწესრიგებელი კომისია.

**ნ. ჟორდანიას** წინადადება შეაქვს აირჩიონ საფინანსო, სამხედრო, აგრარული, სასურსათო, მუშათა, საეროვნო და სხვა კომისიები, აირჩიეს მხოლოდ სამეურნეო განმწესრიგებელი კომისია შვიდი კაცისაგან, დანარჩენი კომისიების არჩევა შემდეგ კრებისთვის გადაიდო.

არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისაგან ზერშტეინი, გუმეტისაგან ჯიბლაძე, ს.-რევოლიუციონერებისაგან—იუნატოვი; დაშნაკცაკანებისაგან ამასპიური; მუსავატისაგან მაღლიბეგოვი და სხვა.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას აირჩიონ **თავმჯდომარეს ამხანაგი.** ორი წინადადება შემოდის აირჩიონ სამი და ორი ამხანაგი. კენჭის ყრით კრება ღებულობს (66 ხმით) აირჩიონ ორი ამხანაგი. ს.-რევოლიუნერებს განცხადება შეაქვთ, რომ თავმჯდომარეს ამხანაგების არჩევნებში მათი პარტია მონაწილეობას არ მიიღებს. აირჩიეს აგაევი და ტიგრანიანი. დანარჩენი კომისიების არჩევა შემდეგისთვის გადაიდო და კრებაც დაიხურა.

# არა ჩვეულებრივი კრება

## თებერვლის 18 კრება

თუმცა შემდეგი კრება დანიშნული იყო 19 თებერვლისთვის და თითქოს დეპუტატებს კვირას ერთი დღე უნდა დაესვენათ, მაგრამ ყველაზე მეტი მუშაობა ამ დღეს შეხვდათ.

დილიდანვე ფრაქციებს განუწყვეტელი კრება ჰქონდათ და ბოლოს გადასწყვიტეს საღამოს 5 საათისთვის მოეწვიათ სეიმის არა ჩვეულებრივი კრება. ეს გაცხარებული მუშაობა და არა ჩვეულებრივი კრების მოწვევა გამოიწვია შაბათს მიღებულმა რადიო ტელეგრამამ; აქ სეიმმა აირჩია დელეგაცია, შეიმუშავა პირობები და აპირებდა ოსმალეთთან ზავზე მოლაპარაკების დაწყებას, რომ ამ რადიო ტელეგრამამ აცნობა, რომ სახალხო კომისარების საბჭომ უკვე გადასწყვიტა ამიერ-კავკასიის ბედი და შეჰკრა ოსმალეთთან ზავი მის ხარჯზე, გადაუბოძა ბათუმი, ყარსი და არდაგანი. და სწორედ აი ამ დეპეშამ სასწრაფო და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი დაუყენა სეიმს.

საღამოს ხუთ საათზე სასახლის თეთრ დარბაზში აურაცხელ ხალხს მოეყარა თავი და ყველას აღელვება ეტყობოდა. დეპუტატები არსად სჩანდნენ, ფრაქციებს კრება ჰქონდათ. როგორც იქნა ღამის 10 საათზე გაიხსნა კრება.

**თავმჯდომარე.** პრეზიდიუმმა და ფრაქციების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს მოისმინოს კრებამ ამიერ-კავკასიის მთავრობის წარმომადგენლისაგან ცნობა ბრესტ-ლიტოვსკში შეკრულ საზავო პირობების შესახებ.

ტრიბუნაზე ადის ე. გეგეჭკორი.

**გეგეჭკორი.** მოქალაქენო — სეიმის წევრნო! ჩემი განცხადება მინდა გავასაზღვრო იმ რადიო დეპეშის წაკითხვით, რომელიც გუშინ მივიღეთ.

**რადიო**

„21 თებერვალს წამოყენებულ ულტიმატუმთან ერთად აგრეთვე ულტიმატუმური ვადა მოგვცეს. ამის გამო და აგრეთვე იმისი, რომ გერმანელებმა უარი სთქვეს პირობაზე ხელის მოწერამდე შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედება, ჩვენ გადავწყვიტეთ ხელი მოგვეწერა ამ პირობებზე: ყველაზე მეტად სერიოზული იყო ამ პირობებში ხალხის თვითგამორკვევის სახით ბათომის, ყარსის და არდაგანის ოლქების გადაცემა. კარახანი.

ასეთი დეპეშა მივიღეთ გუშინ საღამოს ექვს საათზე. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის—ამიერ-კავკასიისთვის და მას არ შეეძლო ჩვენში არ გამოეწვია ღრმესი ზიზღი და აღშფოთება იმ პირების მიმართ, რომლებმაც დაღუპეს რუსეთი და განიზრახეს ჩვენი დაღუპვაც, ჩვენდა დაუკითხავად გადასწყვიტეს ჩვენი ბედი, ჩვენდა დაუკითხავად ამიერ-კავკასიას ჩამოაშორეს მისი ორგანიული ნაწილები. გუშინ ყველა ფრაქციების წარმომადგენლების და კომისარიატის კრებამ შეადგინა დეპეშა, რომელიც გავგზავნე ბრესტ-ლიტოვსკში, ბერლინში, ვენაში, პარიზში და სხვ.

**პასუხი**

„ამიერ-კავკასიის მთავრობა სეიმის გადაწყვეტილების თანახმად სცნობს, რომ ბრესტ-ლიტოვსკში დადებულ ზავის ხელშეკრულობას, მის შეუტყობინებლად არავითარი ძალა არა აქვს. ამიერ-კავკასიის სეიმმა აირჩია დელეგაცია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პირობები და შეჰკრას ზავი ოსმალეთთან". ეს დეპეშა უკვე გავგზავნეთ დანიშნულებისამებრ.

შემდეგ მე ვსთხოვე ბათუმის კომენდატს, რომ რადიო დეპეშით გარდაეცა ტრაპიზონში ვეჰიბ-ფაშასთვის, რომ ჩვენი დელეგატები მზათ არიან და წავლენ ტრაპიზონში, ბათუმის კომენდანტმა გვაცნობა, რომ ტრაპიზონთან დამოკიდებულება სრულიად შეწყვეტილია და დეპეშას დღეს გაგზავნი კაცის ხელით და ხვალ პასუხს მომიტანსო. ამიტომ დელეგაციამ წასვლა გადასდო სანამ პასუხს მივიღებდეთ.

ამ გვარათ ამიერ-კავკასიის მთავრობას არ შეეძლო პასუხი არ გაეცა იმ სამარცხვინო ფაქტზე, რომელიც ჩვენს შესახებ მოხდა. ეხლა თქვენზეა დამოკიდებული მოიწონებთ ჩვენს მოქმედობას თუ არა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვეძლო სხვაფრივ მოგვექცეულიყავით, რომ პირნათლად შეგვესრულებია ჩვენი მოვალეობა.

**ნ. ჟორდანია.** მოქალაქენო, სეიმის წევრნო! გუშინ ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვეკრა ზავი ოსმალეთთან და ავირჩიეთ სამშვიდობო დელეგაცია. ეს დადგენილება იმას ნიშნავდა, რომ სეიმს სურდა დამოუკიდებლად დაეწყო მოლაპარაკება ოსმალეთთან. გუშინდელი დეპეშა ამბობს, რომ ჩვენდა დაუკითხავათ და ჩვენ ხარჯზე შეუკრავთ ზავი, ეს სეიმის დადგენილების პირდაპირი დარღვევაა. ამიერ-კავკასიის კომისარიატი ამ შემთხვევაში სწორეთ მოიქცა. ამიტომ წინადადებას გაძლევთ მიიღოთ მორიგ საქმეებზე გადასვლის შემდეგი ფორმულა: „მოისმინა რა ამიერ-კავკასიის კომისარიატის განცხადება, სეიმი იწონებს მას და გადადის მორიგ საქმეებზე".

კრება ერთხმათ ღებულობს ჟორდანიას ფორმულას.

შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს ახალქალაქიდან მოსულ დეპეშას, რომ თათრებმა სოფლებს ალყა შემოარტყეს, ხალხს იარაღი აჰყარეს და თხოულობენ საჩქარო დახმარებას. წინადადებას აძლევს კრებას აირჩიოს დელეგაცია.

**ჩხენკელი** აცხადებს, რომ თავმჯდომარეს მიერ წაკითხულ დეპეშის გარდა, არავითარი ცნობა არ არის და წინადადებას იძლევა აირჩიონ სამი ეროვნებისაგან დელეგაცია: ქართველების სომხების და თათრებისაგან.

**პეპანოვი** კითხულობს დეპეშას ახალციხიდან თათრებმა დელეგატები ტყვეთ წაიყვანეს და თხოულობენ დახმარებას მათი განთავისუფლებით. ის ამასთან უჭერს თავმჯდომარის წინადადებას აირჩიონ დელეგაცია.

**ნ. ჟორდანია** წინადადებას იძლევა, რადგან ასეთ ამბებს ხშირათ ექნება ადგილი და საჭირო იქნება მუდმივი დამოკიდებულება პროვინციასთან, აირჩიონ მუდმივი ორგანო.

თავმჯდომარე აქვეყნებს ს.-რევოლიუციონერების განცხადებას, რომ განჯის ახლოს მიმავალ ეშელონებსა და თათრების სასტიკი შეტაკება აქვთ და თხოულობენ აირჩიონ დელეგაცია იქ გასაგზავნათ.

**იუნატოვი (ს.-რ.)** განჯაში სისხლი იღვრება, საჭიროა სწრაფი ზომების მიღება, რომ იქ შემზარის ამბები არ განმეორდეს. ვსთხოვთ ამიერ-კავკასიის მთავრობას გვაცნობოს რა ცნობები აქვს ამის შესახებ.

**ჩხენკელი.** განჯაში შეტაკების შესახებ მივიღეთ დეპეშა, რომ განჯიდან სამ ვერსზე ეშელონებმა გააჩერეს მატარებელი და დაიწყეს ბრძოლა. თოფებსა და ტყვიისმფრქვეველებს ისვრიან. მუსულმანთა ინტელიგენციამ სასწრაფო ზომები მიიღო დაიცვას ქალაქი, საიდანაც ბრბო დაიძრა. ზომებს ღებულობენ, რომ სადგურზე არ მოხდეს შეტაკება და სახლებში აფარებენ თავს. ამის მეტი არავითარი ცნობა აღარა გვაქვს, რადგან განჯასთან დამოკიდებულება არ არის ანარქია ფართეთ იკიდებს ფეხს, ამიტომ ჩემის აზრით საჭიროა დაისვას საკითხი ანარქიის შესახებ და აირჩიოთ კომისია.

წინადადება შეაქვთ აირჩიონ 7, 13, 14 და 21 კაცისაგან შემდგარი კომისია.

**ნ. რამიშვილი.** ს.-დემოკრატი მენშ. შემოაქვს ფრაქციის სახელით წინადადება აირჩიონ 21 კაცისაგან შემდგარი კომისია, რადგან მას დიდი საშუშაო ექნება, რადგან საჭირო იქნება ხალხის პროვინციებში გაგზავნა.

**რასულ-ზადე** წინადადებას იძლევა აირჩიონ კომისიაში 7 კაცი.

**თავმჯდომარემ** კენჭი უყარა საკითხს რამდენი კაცი აირჩიონ კომისიაში. ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს აირჩიონ 21 კაცი.

**რამიშვილი** აცხადებს, რომ ს.-დემ. ფრაქცია ირჩევს 6 კაცს, ძახლაძეს, აბუნდოვს, გაგლოშვილს, ხომერიკს, ის. რამიშვილს და აბაშიძეს.

ს.-რევოლუციონერებმა დაასახელეს იუნატოვი, გობეჩია და ჯაფაროვი, დაშნაკცაკანებმა არზუმანოვი, ამასპიური და ხაჩიკიანი. მუსავატმა—ყიდოვი, რუსტამბეკოვი და მელიქ ასლანოვი. ყველა დასახელებული პირნი ამორჩეულ იქმნენ. კრება დაიხურა ღამის 11 საათზე.

## თებერვლის 18-ის სხდომა.

ზავის საკითხის შესახებ თებერვლის 18 სეიმის საგანგებო სხდომაა დანიშნული. სხდომას ხსნის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე. ზავის საკითხის შესახებ მოხსენებით გამოდის ევგენი გეგეჭკორი.

### გეგეჭკორის მოხსენება

**ევგ. გეგეჭკორი.** რუსეთის სამშვიდობო დელეგაციის რწმუნებულის კარახანისაგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ:

„იუწყებიან, გერმანელებმა ახალი ულტიმატუმი წარმოგვიდგინეს. სანამ სახალხო კომისრების საბჭო ხელს არ მოაწერს გერმანელების მიერ წარმოდგენილ პირობებს, მანამ გერმანელები არ შესწყვეტენ სამხედრო მოქმედებას. სახალხო კომისრებს დაუდგენიათ ხელი მოაწერონ სამარცხვინო ზავს. ამ პირობების ძალით, ბათომის, არდაგანის და ყარსის ოლქები ოსმალეთის ხელში გადადის. ასეთი დეპეშა ჩვენ მივიღეთ გუშინ. თავისთავად ცხადია, რომ ამ ცნობას, ამიერ კავკასიის სეიმის წევრები ვერ შეახვედრავთ გულცივად. ჩვენს გულში იფეთქებს უკმაყოფილება და სიძულვილი მათდამი, ვინც ასე უსინიდისოდ გაჰყიდეს ამიერ კავკასიის ერების მომავალი. გუშინ ამ საკითხის შესახებ საგანგებო თათბირი იყო დანიშნული. ამიერ კავკასიის კომისარიატის თათბირზე გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლუცია ერთხმად:

## ამიერ-კავკასიის მთავრობის რეზოლუცია

ამიერ კავკასიის მთავრობა თანახმად სეიმის დადგენილებისა აცხადებს, რომ სახალხო კომისრების მიერ ამიერ კავკასიის ხარჯზე ჩამოგდებული ზავი ოსმალეთთან მოკლებულია საერთაშორისო უფლებას. ამიერ კავკასიის სეიმმა უკვე აირჩია სამშვიდობო დელეგაცია, რომელიც მზად არის გაემგზავროს ტრაპიზონში ოსმალეთთან ზავის ჩამოსაგდებად. ეს დეკლარაცია გუშინ რადიო-დეპეშით გაიგზავნა ბრესტ-ლიტოვსკში, პეტროგრადში, ლონდონში, პარიზში, ვაშინგტონში, რომში, ტოკიოში, სტამბოლში, ბერლინში, ვენაში, კიევში და ოდესაში. სანამდე ამიერ კავკასიის სეიმი ამ დეკლარაციის პასუხს მოუცდიდეს, მანამდე სამშვიდობო დელეგაცია თბილისში დარჩება. ამის გარდა ბათუმში გაიგზავნა შემდეგი დეპეშა:—გთხოვთ დაუყონებლივ გადასცეთ ტრაპიზონის კომენდანტს და ვეჰიბ-ფაშას ბანაკს, რომ ამიერ კავკასიის სამშვიდობო დელეგაცია უცდის ოსმალეთის მთავრობის პასუხს. ჩვენი დელეგატები მზად არიან პასუხის მიღებისათანავე გაემგზავრონ ტრაპიზონში“. ამის შესახებ დეპეშა მივიღეთ, რომ ტრაპიზონთან ტელეგრაფი არ მუშაობსო.

კამათი ამის შესახებ მალე შეწყდა. ამიერ-კავკასიის მთავრობის დადგენილება ზავის შესახებ ყველა ფრაქციების მიერ მიღებულ იქმნა.

## ანარქია ამიერ-კავკასიაში.

აკ. ჩხენკელი კითხულობს განჯიდან მიღებულ შემდეგ დეპეშას: განჯიდან სამი ვერსის მანძილზე მატარებლით მიმავალი ეშელონები შეჩერდნენ და ტყვიის-მფრქვევლებით სროლა აუტეხეს თათრებს. მრავალი არის დაჭრილი, მოკლული და დასახიჩრებული. ეშელონები ყოველ დღეს ხმარობენ სადგურის ადგილად. სადგურის მოსამსახურენი გაიფანტნენ.

მეჰმადიანთა ინტელიგენცია და გუბერნიის კომისარი ცდილობენ ქალაქის გადარჩენას. თათრები აქა-იქ ჯგუფ იბეჯებ. რომ სადგური დარბევისაგან გადაარჩინონ ცდილობენ. ტელეგრაფი ძლივს მოქმედობს. ძლიან შველას“.

ამას გარდა ჩხენკელი კითხულობს დეპეშას ახალციხეში მომხდარი ამბების შესახებ:—სოფელი სარახა და ზამოვრა გარ-შემორტყმულია შეიარაღებული მაჰმადიანების მიერ. მაჰმადიანები თხოულობენ, რომ სოფლის მცხოვრებლებმა 24 საათის განმავლობაში გადასცენ მათ იარაღი. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლებს და მათ მცხოვრებლებს განადგურება მოელით. ამას გარდა მაჰმადიანების მიერ განადგურებულია ქართველების შემდეგი სოფლები: მუსხინდორი, მინდა, დადეში, კუნცა, რაკეტი, ტობა ტოდელი და ელეთი. ზემო ჩამოთვლილი სოფლების მცხოვრებლები აწიოკებულია. სოფლის დელეგაციები თათრებმა დაატყვევეს.

ჩხენკელი მოუწოდებს სეიმს ანარქიასთან ბრძოლა რაც შეიძლება გაძლიერებულ იქმნას და აირჩიონ საგანგებო კომისია.

სეიმმა მოიწონა ჩხენკელის წინადადება და ანარქიასთან საბრძოლველად აირჩია საგანგებო კომისია.

## თებერვლის 19 სხდომა

სხდომა იხსნება დღის 2 საათზე. თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე. დღიურ წეს-რიგში პირველად სამანდატო კომისიის მოხსენებაა.

## სამანდატო კომისიის მოხსენება

ალ. ლომთათიძე. სულ უკანასკნელი დაზმლევილებითი ცნობებით დამფუძნებელი კრების არჩევნებში ამიერ-კავკასიაში № 1 მიიღო 661934 ხმა, № 2—25,673 ხმა, № 3—117,522 ხმა, № 4,—558,400 ხმა, № 5—92,581 ხმა, № 6—22,752 ხმა, № 8—25,733 ხმა, №—10—615—816 ხმა, № 11—84,748 ხმა, № 12—159,770 ხმა, № 14—66504 ხმა, ამ ციფრების თანახმად შემოკლებული მეტრით ამიერ კავკასიის სეიმში გადიან № 1—32 დეპუტატი, № 2—1 დეპუტ. № 3—5 დეპ. № 5—27 დეპუტატი, № 6—1 დეპუტატი, № 8—1 დეპ., № 10—30 დეპ., № 11—4 დეპ., № 12—7 დეპუტატი, № 14—3 დეპუტატი.

პირველად დადგენილ იყო, რომ საარჩევნო მეტრი ყოფილიყო 62044 ხმა. შემდეგ კი საარჩევნო მეტრი შემოკლებულ იქმნა 20681 ხმად.

(შემდეგი იქნება)

## ქართველ სოციალდემოკრატების დახასიათება „ოხრანა“-ს მიერ

თბილისის ოხრანის განყოფილებაში მეტად საყურადღებო მასალებია დარჩენილი კავკასიის სარევოლუციო მოძრაობის ისტორიისათვის. სხვადასხვა ძვირფას მასალებთან ერთად გვხვდება ეგრედ წოდებული „დახასიათებანი“, სადაც დახასიათებულნი არიან რევოლუციურ მოძრაობაში შენიშნულ პარტიის სხვადასხვა კერძო პირები. საგულისხმო ცნობები გვხვდება 1906 წ. „დახასიათებაში“ ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის შესახებ. აი რას ვკითხულობთ საერთოდ ქართველ სოციალდემოკრატებზე და კერძოდ მათზე ერთ ერთ „დახასიათებანი“-ს ფურცლებზე:

„სოციალდემოკრატიულ იდეების მქადაგებლად კავკასიაში და კერძოდ თბილისში არის სოციალისტურად გაწყობილი ინტელიგენცია,—ინტელიგენცია ინტერნაციონალური. სოციალდემოკრატების ორგანიზაციაში პროლეტარიატის პირველი კადრები უმეტესად ქართველები მოჰყვნენ. მათ მეთაურობად—ქართველი სოციალდემოკრატიული ინტელიგენცია. ეს იყო 1890 წლებში, მაგრამ არც ეხლა 1906 წელს შეცვლილა სურათი. ეხლაც, როგორც უწინ, სოციალდემოკრატიულ მოძრაობას თბილისში ხელმძღვანელობს ქართველ-გურული ინტელიგენცია. ამ უკანასკნელ ხანს უკვე შევნიშნეთ, რომ სომეხთა და თათართა ინტელიგენციამაც წამოიწია, მაგრამ ისინი ისევე ცოტანი არიან, როგორც მაგალითად ებრაელები და რუსები, ასე რომ მათზე ლაპარაკიც არ ღირს, თუმცა სხვადასხვა დროს ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ადგილობრივ რევოლუციონურ მოძრაობაში, როგორც მაგალითად არშაკ ზურაბოვი, გიორგი კარანჯიევი, ლეონიდე პერესი, დიმიტრი პოსტოლოვსკი, მიხეილ ცხაკაია და მრავალი სხვ.

ამ ქამად ხელმძღვანელ კოლლექტივში უმეტესად ქართველები არიან, ხოლო ადგილობრივ სოციალდემოკრატიულ მოძრაობის მთავარი დიქტატორი არის გურული ნოე ჟორდანია. იგი მეტად მტკიცე ნების პატრონია, და ამასთან ნიჭიერი ორგანიზატორი. თავის ნიჭით იგი ყველას იმორჩილებს. მასთან ერთად მუშაობს სომხის, თათრის და ებრაული ინტელიგენცია. მაგრამ ისინი მის გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ქრისტეშობისთვის ამბებამდე ადგილობრივი პროლეტარიატი მეტად უკმაყოფილონი იყვნენ. არ მოსწონდათ მეთაური ინტელიგენცია. ეს უკმაყოფილება მათ პრინციპად გადაექცათ, ასე რომ მოისურვეს წმიდა მუშური ორგანიზაციის შექმნა. მათის დრმა რწმენით პროლეტარულ საქმეს თვით მუშები უნდა გაძღოლოდნენ. ეს უკმაყოფილება დიდად და გარკვეულ ფორმას ღებულობდა, მაგრამ მალე დამარცხდა. ნოე ჟორდანიამ მაშინ შექმნა „მენშევიკური“ მიმდინარეობა. მან გაიყოლა მუშები და შემდეგი წესდება გაატარა პარტიის წევრებისათვის. მუშებს შეუძლიანთ პარტიის წევრობა, თუ ისინი შეეფერებიან ლენინის წესდების § 1, ინტელიგენცია კიდევ უნდა მარტოვის წესდების § 1. შენიშვნით, რომ ინტელიგენტი არ უნდა იყოს რაშიმე შენიშნული და ჩირქმოცხებული. ამით შექმნა ჟორდანიამ შემზღუდველი პირობები, პარტიის წევრებად ჩაწერის მსურველ ინტელიგენციისთვის. ამასთან ორგანიზაცია ორ ნაწილად გაჰყო: მუშათა და ინტელიგენტთა ორგანიზაციად. თვითონ ჟორდანია ფაქტიურად სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის დიქტატორი შეიქნა. ტაქტიკა მისი, მენშევიკურია, თუმცა ორგანიზაციაში ბოლშევიკებიც ურევიან.

თბილისის მთავარი რევოლუციონური ძალა უკმაყოფილოა სახელმწიფო სათათბიროთი. მისი გამოყენება ჰსურთ შემდეგ რევოლუციონურ მოძრაობისათვის და დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებისათვის. ასეთ ტაქტიკით ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დიდ საყვედურებს იწვევს სხვა ორგანიზაციებში.

ნურას ვიტყვით ბოლშევიკებზე, რომლებიც დიდად უკმაყოფილონი არიან ნოე ჟორდანიის ტაქტიკით და ამასთან ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ იგი იძულებული იქნება, დასტოვოს ასპარეზი. ამას ხელს შეუწყობს, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელზედაც არ შეგვიძლიან არ შევჩერდეთ.

ქრისტეშობისთვის ამბების შემდეგ, როდესაც პროლეტარიატმა დაჰკარგა რწმენა მარჯვე და ნაყოფიერ აჯანყებაში და ჯართან პირდაპირ ბრძოლის შესაძლებლობაში,—გადასწყვიტა პარტიზანული რევოლუცია დაეწყო. პარტიზანულ რევოლუციის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ცალ-ცალკე რაზმები თავს დაესხმიან სახელმწიფო დაწესებულებებს, ბანკებს, ადმინისტრატიულ პირებს, ჯარების ცალ-ცალკე ნაწილებს და სხვა ამგვართ და ამ თავდასხმაში შეძლების დაგვარად ჩაითრევენ დანარჩენ მცხოვრებლებსაც და ასე ამრიგად გააღრმავებენ ბრძოლას და გააძლიერებენ რაზმებს. ხალხი ამ წორე გზით საყოველთაო რევოლუციისაკენ წავა და თავის მიზანს განახორციელებს.

ამ ტაქტის მომხრენი არიან ნოე რამიშვილის მიმდევარი მენშევიკები. ნოე რამიშვილმა ასეთი ტაქტიკა ადიარა ჯერ ისევ ქრისტეშობისთვეში გამოცვლილ ბიუროს ერთ-ერთ კრებაზე.

ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციამ, როგორც სჩანს გაიზიარა, მიიღო ბრძოლის ახალი მეთოდი, აჯანყების ახალი სტრატეგიული გეგმა.

ამ ქამად არსებობს უკვე ერთი შეიარაღებული რაზმი. რაზმში შედის 40 შეიარაღებული კაცი. რაზმის ინიციატივით უკვე დაეცნენ რამდენიმე სხვა და სხვა თანამდებობებს და კერძო პირებს ფულების წასართმევად.

ეს რაზმი მეტად ჰკიცხავს ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას მის უმოქმედობის გამო. რაზმი ნოე ჟორდანიას მოქმედებითაც მეტად უკმაყოფილოა. ამით ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაზმი შედგენილია თვით მუშების ინიციატივით, და ასეთ მოქმედების იდეა ნოე ჟორდანიას არ ეკუთვნის.

მაგრამ იგი დღესაც გრძნობს თავის გავლენას და ადგილობრივ პროლეტარიატს სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობისათვის ამზადებს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისის ორგანიზაცია დაემორჩილება მომავალ ყრილობის საერთო გადაწყვეტილებას. ამიტომ ჯერ ძნელი სათქმელია, მიიღებს იგი მონაწილეობას თუ არა. დელეგატი ყრილობაში სამონაწილოდ აპრილის 1-ს გამოვა.

სახელმწიფო სათათბიროს საკითხის გარდა სარაიონო კრებებზე მსჯელობენ აპრილისთვის განზრახულ პოლიტიკურ გაფიცვის შესახებ.

ალბად რუსეთში გაზაფხულზე დიდი ამბები—დიდი რევოლუციონური მოძრაობა მოხდება. მოძრაობა ალბად პოლიტიკურ გაფიცვით დაიწყება“.

ხელს აწერს გაურკვეველად ვინმე პოდპოლკოვნიკი.

## ანარქია პროვინციაში

რაც გორის მაზრაში ხდება, უზრალო მაყურებლისათვის სრულიად წარმოუდგენელია. აუწერელია ის მდგომარეობა, რასაც განიცდის ეგრედ წოდებული „მემამულე“. თავაღებული ბრბო აწიოკებს ქალებს, ბავშვებს; აოხრებს მრავალი წლობით ნაამაგარს,—(ნურას ვიტყვით ტყეებზე). „თავისუფალ მოქალაქემ“—უნდა მიაწეროს თავი მამაპაპეულ კერას და შეუერთდეს „პროლეტართა“ რაზმს.

ჩვენი მთავრობა, როგორც ეტყობა, ამას ანგარიშს არ უწევს, რადგან ეს უბედურება დღითი-დღე ძლიერდება და ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს.

ქალაქ ადგილებში ამისთანა ანარქია, რევოლუციას თან დაჰყვა. სცარცვავდენ მაღაზიებს, მშვიდობიან მცხოვრებლებს, აატერებდენ სახელმწიფო საწყობებს და აოხრებდენ აუარებელ სიმდიდრეს, თბილისში და ქუთაისში უდიდეს წერტილამდე მიაღწია ამ ცარცვა-გლეჯამ. ჩვენმა მთავრობამ ამას ყურადღება მიაქცია და კიდეც ბოლო მოუღო. აქ მთავრობა გამოვიდა კერძო საკუთრების დამცველად.

თუ კი, მაგალითად, ქუთაისის დასამშვიდებლად ადგილობრივმა მთავრობამ მიმართა მთელ გუბერნიის „წითელ გვარდიას“,—არ იკმარა ეს, თბილისიდანაც გამოიწერა დიდი ძალა, ისე რომ ერთი დღის განმავლობაში ქუთაისში 4000 გვარდიელმა მოიყარა თავი, თუ კი ქუთაისის ვაჭრების და მცხოვრებლების დასაცველად შესაძლოა ასეთი სისწრაფით მივაგებოთ შეგნებული ძალა, თუ კი ქუთ. გუბ. კომისარი გიორგაძე ჰგრძნობს, რომ „შეიძლება ჩვენ დაგვიღუპოთ, მაგრამ გავიმარჯვებთო“ და ამიტომაც ისე ენერგიულად იწვევს თბილისიდან ტყვიისმფრქვეველებს და ჯავშნიან მატარებელს, თუ კი ამ „წითელ გვარდიას“ შეეძლო მთელი (მე-115-ე) პოლკის იარაღის აყრა და დაშლა, რატომ ქართლის 300 თავადებულ მცარცველს ვერ ალაგმავენ? რატომ ქართლის სოფლის მცხოვრებლების დაცვას არა კისრულობს მთავრობა?

ვთქვათ, რომ სწორედ ის პირები, ვინც ქართლში დაარბიეს, თავიანთ წარსული ცხოვრებით გლეხკაცობის წინაშე დიდი დამნაშავენი იყვნენ, მაგრამ განა დამნაშავეებს ასე ასამართლებენ?

ქართლის თავად-აზნაურობა ამ რევოლუციის დასაწყისშივე მთლად დაემორჩილა ხალხის ნების ყოფას. უმეტესობა მათგანი მონაწილეობასაც ღებულობს ამ გარდაქმნაში. შედარებით 1905 წ. რევოლუციასთან თავადაზნაურობა ახლა უფრო ლიბერალურია. მთელი წლის განმავლობაში თითქმის არსად ყოფილა ექსცესები ლალისა და საერთოდ მამულების შესახებ, თუმცა ბევრი მათგანი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ამ რევოლუციას ე. ი. არა ჰქონდა საკუთარი ნახნავ-ნათესი—ლალაც ვერ მიიღო და თითქმის შიმშილით კვდებოდა. ან კი რას იზამდა, რომ არ დამორჩილებოდა ის ხალხის ნება-ყოფლობას? თავის მამულს ვერც ჯიბეში ჩაიდებდა და ვერც ზანდუკში დაჰკეტავდა. იმის საკუთრებით სარგებლობს ხალხი და სახელმწიფო.

ვაჭარ-მრეწველებს თავიანთი დუქანქარხანა შეუძლიანთ ყოველ წამს დაჰკეტონ, თავიანთი ფული ბანკებ-ხაზინიდან მთლიანად გამოიტანონ და სახლში (ჯიბეში) შეინახონ, ისე, რასაც მართლა ვხედავთ, ხალხი და სახელმწიფო მათი ქონებით ვერა სარგებლობს.

ჰო და, თუ კი ასეთს მესაკუთრეებს იცავს ჩვენი მთავრობა, რატომ სოფლის მესაკუთრენი ღვთის ანაბარა არიან მიტოვებულნი?

ამიტომაც საჭიროა ყველამ ვიყვიროთ, რომ შევაგნებინოთ მთავრობის მოყრუებულ ყურს:

„იღუპება პროვინცია! მარტო ქალაქები არ იხსნის საქართველოს! მიხედეთ პროვინციას!

კოფა—ლი.

## კორესპონდენცია

### ს. თიანეთი. 20000 მანეთის მოპარვა.

ღამე 7—8 თებერვალს აქაური რაიონის კომისარის ნ. ქუმსიშვილის ბინიდგან მოიპარეს ოცი ათასი მანეთი ფული სალდათთა ოჯახთათვის დასარიგებელი (პაიკები). ქურდობა მოხდა ქუმსიშვილის შინ არ ყოფნის დროს. ბოროტ-მოქმედს გაუღია ოთახის კარები და მაგიდის უჯრიდგან, სადაც ინახებოდა ფული, ამოუღია და მოუპარავს, ხოლო უჯრაში დაუტოვებია 11090 მანეთამდე მსხვილი ფული ათასმანეთიანები. მაზრის კომისარის ამხანაგმა ალ. შუშანაშვილმა, იმის მაგიერ, რომ მოეხდინა სასტიკი გამოძიება და მიეღო რაიმე შესაფერისი ზომები, მიმართა ჰიპნოტიზმურ სეანსებს და სოფლის მკითხავებს და ამ საშუალებით უნდოდა აღმოეჩინა დაკარგული ფული და ბოროტ-მოქმედი.

გასაკვირველი და ჩამაფიქრებელია ქუმსიაშვილის მხრივ ასეთი გაუფრთხილებლობა - დაუდევრობა: სოფლის ბოლოში, განაპირა ადგილას ანებებს თავს რამდენიმე კვირით და სტოვებს ღვთის ანაბარას და აზრათაც არ მოსდის დარაჯი მაინც დააყენოს, თუ არ მიიბარებდა სადმე უშიშარ ალაგას. დაპატიმრებულია თვით ქუმსიაშვილი და საქმის მწარმოებელი ზაქ. მაჩურიშვილი და ორიც აქაური მცხოვრებნი. საქმე სიბნელით და საიდუმლოებით არის მოცული, რისთვისაც საჭიროა დახელოვნებული და გამოცდილი გამომძიებელ-მოხელე, რასაკ მოკლებულნი ვართ. ხალხში დიდი მღელვარება და იწვევს უკმაყოფილებას; შესაძლოა მოხდეს ხალხის თვითგასამართლება, სადაც საფიქრებელია მ-ჰყეგ-ბიან უდანაშაულონიც.

ის—არი.

### სოფ. აზამბური
(თბილისის მაზრა)

18 თებერვალს, ვანთიადისას 500 კაცმა შეიარაღებული თათართა ბრბომ მოგვისია აზამბურელების ნახირს და მთლიად გაირეკა. წასხმულია 1500 სული საქონელი. მდევარი მალე გამოეკიდა მაგრამ სიმცირისა და უიარაღობის გამო ვერა გააწყორა, სროლის დროს მოკლულია მწყემსი. ამასთანავე ბოროტგამზრახველთ შემოუთვლიათ: „დავბრუნდებით და კვლავ თქვენს სახლ კარსაც ავიკლებთ!“ შეშინებული მცხოვრებნი იმავე დღით შეუდგნენ სოფლის დაცლას და მარგის გადმოზიდვას მეზობელ სოფ. სართიჭალაში. საშინელ სურათს წარმოადგენდა ქალების და ბავშვების ტირილ-ღრიანცელი. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცევს თორემ ამისთანა ბრბოები სხვაგანაც დაიწყებენ თარეშს.

ც. მგზავრი.

## წერილი რედ. მიმართ

ღრმად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „საქართველოში“ ქვემო მოყვანილ ჩემს პასუხს ბეითალ ექიმის ი. ქუთათელაძის წერილის შესახებ, „ქართულ კორპუსის საბეითლო ნაწილის მოწყობა“, რომელიც მოთავსებული იყო ამა ოცი იანვრის მე-16 ნომერში და რომელშიაც დახასიათებულია გაზეთქართული საბეითლო ნაწილის კორპუსში მოწყობ მოიგების მსვლელობა და ამასთანავე არასაკადრისათაა მოხსენებული დღეს იქ მომუშავე ბეითალ ექიმები.

ბ. ქუთათელაძე გვარწმუნებს, რომ ესა თუ ის საბეითლო ნაწილის დარგი ყრილობამდის შეიძლებოდა მოწესრიგებულიყო. (მოყავს მედიკამენტების და ფერშლების კადრის მოზადება), ამასთანავე ირწმუნება, რომ შემთხვევით იქ მყოფ ბეითლებს არაფერი არ გაუკეთებიათო. ჯერ ერთი დამისახელეთ, ბ. ქუთათელაძე: ვინ იყო ქართ. კორპუსში მოსამსახურე ბეითალი, რომელსაც შეეძლო და კიდეც ვალდებული ყოფილიყო ფერშლები და მჭედლები მოემზადებინა? და თუ ორი სამი ბეითალთაგანი თავიანთ ნაწილში სამსახურს გარდა (არა ქართ. კორპუსში), მართლაც იღვწოდა თავის დროზე ყრილობა მოეწვია და მით საძირკველი ჩაედგა საბეითლო ნაწილის ქართ. კორპუსში მოწესრიგებას,—ეს იყო მათი ზედმეტი შრომა და არც ისე ადვილი საქმე იყო როგორც თქვენ გსურთ მოაჩვენოთ საზოგადოებას, და თქვენაც თუ კი შეგეტკივათ გული ამ საქმეზე, რისთვის 3 იანვარს, როდესაც ჩამობრძანდით, კორპუსში არ დარჩით სამუშაოდ და პირიქით, წაჯდაბნდით და შეიტანეთ რა განცხადება—ჩამოველ და გამოვცხადდიო. რომ ჯამაგირი არ დაგეკარგოდათ,—იმ დღეს მოჰკურცხლეთ ხონში და არ გვინახივართ ორი კვირის განმავლობაში—ყრილობის წინა დღემდის. შემდეგ ეხებით არ ჩვენებს, ამ თქვენთვის ფრიად გულ-სატკივარ საგანს,—განაგრძობთ, რომ იქ მყოფ ბეითალთა ყრილობის უმეტესობამ არ მისცა უპირატესობა სამხედრო კადრის ბეითლებს, არამედ ბეითალი, როგორც ბეითალი, სამხედრო უწყების არის თუ სამოქალაქოსი, თუ ღირსეულად მომზადებულია, ერთნაირ სიმარჯვით არ მოარჩენს სამხედრო უწყებაში ცხენებს, თუ სამოქალაქო უწყებაში ჩარიცხულ ცხენს, ხარს, კამეჩსა და სხ. შეიძლება ამით გვითითებდეთ, ვითომც სამხედრო უწყების ბეითალი უფრო დახელოვნებულია ცხენების მოვლა-მორჩენაში? თუმცა ეს დებულებაც ძლიერ საეჭვოა. მაგრამ ვთქვათ, რომ ეგრეა, საჭიროა ვიცოდეთ, გვყავდა კი ყრილობაზე ერთი ბეითლის გარდა, რომელსაც უმცროსი ბეითლის თანამდებობაც გაჰქონდა მისცეს,—არა სამხედრო სამსახურში გაწვეულნი და მყოფი ბეითალნი? და თუ თქვენის აზრით სამ წელიწად ნახევრის სამხედრო გამოცდილება საკმაო არაა საფუძვლიანად შესწავლის ბეითალმა ცხენის მოვლა და სხვა სამხედრო ბეითლის მოთხოვნილებანი, იმ შემთხვევაში ნება გვიბოძეთ ეჭვი შევიტანოთ თვით თქვენს საბეითლო ცოდნაში; თქვენც კარგად მოგეხსენებათ,—საბეითლო მეცნიერების შესწავლა ინსტიტუტებში განსაზღვრულია ოთხ-ხუთი წლით და ცხენის მოვლა-მორჩენის ცოდნა კი არ შეადგენს მის მეხუთედ ნაწილსაც და, მაშასადამე, საბეითლო ინსტიტუტში უნდა დაეყოთ თქვენ არა 4—5 წელი, არამედ 15 წელზე მეტი და რაკი ამგვარი დრო საბეითლო მეცნიერების შესწავლისთვის იქ არ მოგინდომებიათ, იქიდგან გამოტანილი დიპლომითაც შეუფერებლათ სარგებლობთ! მხოლოდ კიდევ თუ დავიჯერებთ, რომ სამხედრო კადრის ბეითალს გარდა ღირსი არავინაა, რომ ქართულ კორპუსში იმსახუროს, მოგვახსენეთ: რომელი თქვენგანია (პროტესტანტთაგანი) სამხედრო უწყებაში ომამდის ჩარიცხული ბეითალი? ვეჭვობ, რომ ბევრი არავინ, როგორც, მაგალითად, თქვენ, რომელიც ფინანსთა სამინისტროს უწყებაში ბრძანდებოდით და სამხედრო უწყებისა გაბედით ომიანობის გამო; მაგრამ საქმე ხომ ეს არაა, გულახდილად ვთქვათ, თქვენ უფრო გული იმაზე გწყვისთ, რომ ყრილობამ არ მიიღო ყურადღებაში თქვენი განცხადება—თუ კორპუსის ბეითლობა არ მომცემთ, ისე აქ არ ვიმსახურებო“ და წინადადება თქვენის ავტობიოგრაფიული წერილობისა და გენერალ ლიახოვის პროტესტი—გიცნეს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელ ბეითალად, თქმა არ უნდა, აირჩიეს უფრო ღირსეული და ის, ვისაც უფრო მომზადებულად იცნობდა კრება. რაც შეეხება თქვენს ქუჩურ ლანძღვას, რომ მთელ ყრილობის შემადგენლობას უწოდე გაზეთში, საჯაროდ: „უმეცარ-უცოდინარნი, გასტრალიორები, თბილ-თბილ ადგილების მაძებარნი და სხვ.“, ამაზე მეტად მიგვაჩნია თავის მართლება ვინაიდან, ნათქვამია: „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების!..“

ქართული კორპუსის ყრილობის დამსწრე ბეითალ-ექიმთაგანი.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ჩემს მოკლე წერილს: პარასკევს, თებერვალის 16 ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნული იყო ჩემთვის პირველი დებიუტი ოპ. „ფაუსტ“-ში, სადაც მე უნდა გამოვსულიყავ „მეფისტოფელ“-ის როლში. საქმე მდგომარეობს იმაში, რომ მე თავდაპირველადვე ვითხოვე დენიშნათ ჩემთვის რეპეტიცია სავსებით, რაზედაც მუსიკალური კომისია სიამოვნებით დამთანხმდა, მაგრამ არ ვიცი რა მიზეზების გამო ეს დაპირება სისრულეში არ იქმნა მოყვანილი, როგორც ამას მოითხოვს საქმე და ხდება სხვა რიგიან სოპერო თეატრებში, ამიტომ მე იმ წამსვე განვუცხადე კლუბის ამართველს ბ-ნ პლ. ხელაშვილს, რომ მე ამგვარ პირობებში გამოსვლა არ შემიძლია და ტყუილად ჩემი იმედი არ იქონიონ. ეს განვუცხადე ბ-ნ ხელაშვილს, რადგან იმ დროს არც ერთი მამასახლისთაგანი კლუბში არ იყო და მგონია, რომ საჭირო იყო, რათა მას თავის მხრივ საჭირო ზომები მიეღო. ჩემი ასეთი განცხადების დროს იქ შემთხვევით დამესწრნენ: ბ-ნი ნიკ. ქართველიშვილი და ოპერის მსახიობნი ქ-ნი ავალოვი—კულანდარისა და ბ-ნი ი. ავალოვი. მიუხედავად ჩემი ამ გვარი გაფრთხილებისა ჩემის უარის თქმისა, ხმა გავრცელებულა ჩემზე, ვითომ მე კლუბის ადმინისტრაცია არ გავაფრთხილებინოს დროზე.

ახლა თვით მკითხველმა გაარჩიოს მტყუანი და მართალი ჩვენ შორის ვინ არის და გამაფრთხილებია თუ არა დროზე ის პირები, ვინც ასეთი ჭორები გაავრცელეს ჩემს შესახებ.

პატივისცემით მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე.

## კალენდარი

### ხუთშაბათი, თებერვლის 22

ქართვ. პოვნა ნაწილთა წმინდათა მოწ. ევგენიას შინა წმ. ცხრათა ძმათა კოლაელთა. ქართველთა მეფისა, ადარნასე, ბაქარ, ბარძიმ, ვაჩე, დაჩი, ჯუანშერ, რამაზ და ფარსმანისა.

ხომეხ. წმ. ვასოკიანცთა.

კათოლ. წმ. პეტრესი და მარგალიტასი.

მაჰმად. ჰიჯრა-შამბე 23 რ. ჯემადელეველისა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომხამიშ 23 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყ. შექმ.